

საქართველო

დისკუსია „დედა ენის“ დაბრუნების ბარშემო – სიფრთხილით გასაძვლებელი ისტორიული გზა

ლალი ჯელაძე

საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც „დედა ენის“ ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ითვალისწინებს, პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებმა, **ზაზა გაბუნია** და **მარიამ ჯაშყა**, წარუდგინეს საქართველოს პარლამენტს. მარიამ ჯაშყა ამბობს, რომ „დედა ენის“ გარშემო მათ ჯერ კიდევ 2018 წელს დაიწყეს მუშაობა და პირადად იყვნენ ჩართულები გოგებაშვილის საზოგადოებასთან კონსულტაციებში, თუმცა, მარამ ამ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდა, რადგან „გრიფორების პროცესი უკვე დაწყებული იყო და ვერ მივიღებდით ახალ მიმართულებას „დედა ენის“ ბეჭდვასთან და გრიფორებასთან დაკავშირებით. დღეს უკვე არის მიღებული გადაწყვეტილება განათლების და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის მიერ, რომ სამინისტროში შეიქმნას საბჭო, რომელიც შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით შეაჯამებს „დედა ენის“ იმ რედაქციას, რომელიც იქნება ერთი და დაბეჭდვით, სამინისტროს ეგიდით, მომავალი წლიდან. ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ „დედა ენა“, თავისი პედაგოგიური უნიკალური მეთოდით დაუბრუნდეს სკოლას. ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს სტანდარტული, გრიფორების პროცედურის მიღებაში.“

მიხეილ ბატიაშვილი ამბობს, რომ ზოგადად, „დედა ენის“ საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და როცა მხარეებს შორის შეთანხმება მოხდება, სკოლებში „დედა ენის“ იმ სახელმძღვანელოებს შეიტანენ, რომელიც სამინისტროს მხრიდან იქნება უზრუნველყოფილი.



„იმედის მომცემი ინფორმაცია გავრცელდა იმის თაობაზე, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ქართულ სკოლაში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაბრუნდება. ფაქტობრივად, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მრავალწლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო“ – ამბობს საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათამაშვლომარე, პროფესორი **გოგი გოგოლაშვილი**. უფრო კონკრეტულად, თუ რას გულისხმობს „დედა ენის“ დაბრუნება – იქნება ეს უცვლელი სახით თუ გადაამუშავებული? – ამის შესახებ აღნიშნავს, რომ სკოლაში „დედა ენის“ შესვლა უცვლელად არ მოხერხდება და არც შეიძლება – „იაკობ გოგებაშვილი თავის ანდერძშიც წერდა, რომ თუ „დედა ენას“ გაუკეთესება მოაკლდება და თავის დროზე საჭირო ცვლილებებს არ შევიტანთ, მაშინ ის მოკვდება. ეს გოგებაშვილის აზრია, მაგრამ მთავარი და არსებითი ის არის, რომ წიგნიც, ცვლილებების მიუხედავად, ის ძირითადი პრინციპები არ დაირღვეს, რასაც გოგებაშვილის მეთოდი ითვალისწინებს – თუ რითი იწყება ანბანის შესწავლა და რომელ ასოს რომელი მოსდევს, რომელი ასო რომელი სიტყვით იხსნა, როგორია საბანანე ნაწილი ნასაკითხი ტექსტის სტრუქტურა და ა.შ. ეს ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული, თუმცა, ცხადია, ის სიტყვა, რომელიც დღეს აღარ იხმარება, უნდა ჩანაცვლდეს თანამედროვე სიტყვით, მაგრამ ჩანაცვლდეს იმ პრინციპით, როგორც ამას გოგებაშვილი აკეთებდა ტექსტის შედგენისას – ბავშვს არ უნდა გაუძნელდეს და გაუთუღდეს ანბანის შესწავლა.“

მისივე განმარტებით, საფუძვლად „დედა ენის“ 1912 წლის გამოცემა უნდა ავიღოთ, რომელიც გოგებაშვილის სიცოცხლეში ბოლოჯერ გამოვიდა და ამბობს, რომ მას შემდეგ სალიტერატურო ქართული ენა გარკვეულწილად შეიცვალა, ამიტომ საჭიროა, სწორედ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით მოხდეს ტექსტის რედაქტირება. მოქმედი სახელმძღვანელოებიდან ორი რიგის სახელმძღვანელოებს ასახელებს: ერთი, რომელიც იწყება „აი ია“-თი და მეორე, რომელიც ასე არ იწყება. მისი აზრით, თუ სახელმძღვანელო იწყება „აი ია“-თი და გრძელდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც გოგებაშვილი – „აი ია“, „თითი“, „სათი“ და ა.შ. – ეს უკვე უპირობოდ, იაკობის პრინციპია და, შესაბამისად, მისი საკუთრებაა. „იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადამიანი ერთ ან ორ საბანანე სიტყვას შეცვლის იაკობის „დედა ენაში“, არ შეიძლება სახელმძღვანელოს ავტორად იწოდოს, რადგან ეს პირდაპირ ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაა. ამიტომ, თუ „აი ია“-თი დაიწყება სახელმძღვანელო, აუცილებლად უნდა აიგოს იმ პრინციპით, რა პრინციპითაც გოგებაშვილმა დაგვიტოვა და მთავარი პირობით: მას აუცილებლად „დედა ენა“ უნდა ერქვას, ავტორი კი იაკობ გოგებაშვილი ეწეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც გითხარით (ამაში გვეთანხმება საქსტანდარტი, საავტორო უფლებების დაცვის სააგენტო და ა.შ.), გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრების მითვისება იქნება.

რაც შეეხება „დედა ენის“ მეორე კატეგორიას, ამ სახელმძღვანელოების პირველი ვაკევეთილი, მაგალითად, იწყება, **ა** ასოთი და ასოს ასწავლიან სიტყვებით: „აკვარიუმი“, „აქლემი“ და „არჩივი“, ან „ატამი“, „ალუბალი“, „ასკილი“ და ა.შ. თუ ვინმეს მიაჩნია და ჰგონია, რომ აქლემის და აკვარიუმის შეტანა უფრო იოლად ასწავლის ბავშვს ნერა-კითხვას, ეს მისი საქმეა, მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. ამ შემთხვევაში, არჩევანი მასწავლებელს უნდა დაუტოვოთ. ამიტომ ვამბობ ხაზგასმით, რომ კი არ უნდა ჩაგანაცვლოთ გოგებაშვილის „დედა ენით“ სხვა სახელმძღვანელოები, არამედ უნდა იარსებოს

(თუ ეს აუცილებელია) ალტერნატიულმა წიგნებმა, თუმცა, არა როგორც გოგებაშვილის „დედა ენის“ გადაამუშავებულმა ვარიანტმა, არამედ როგორც დამოუკიდებელმა. არაფის აქვს უფლება, გადაამუშავებულ, მცირე ცვლილებებით შედგენილ წიგნს სხვა სახელი დაარქვას და ავტორად დაენეროს, მაგრამ იმის უფლება ნამდვილად აქვს ავტორს, დაენეროს ახალი საბანანე სახელმძღვანელო, თუნდაც ისეთი, როგორც უკვე არსებობს და ანბანი ასწავლოს „აქლემით“ ან „ასკილით“, **ი** – „იხვით“, **მ** – „მაიმუნით“ და ა.შ. კი ბატონო, ამგვარი სახელმძღვანელო თუ ურჩევნია რომელიმე მასწავლებელს ან მშობელს, აირჩიოს. განათლების სამინისტრომ კი უნდა უზრუნველყოს, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო, მისივე სახელით, შევიდეს და იმ პრინციპული ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც დღევანდელი მითხოვს, ხოლო სხვა სახელმძღვანელო იმ ავტორის სახელით, ვინც დაწერა, მათ შორის არჩევანი კი მასწავლებელმა გააკეთოს.“

გოგი გოგოლაშვილის აზრით, არ უნდა დაგვიწყნადოს მთავარი, „დედა ენა“ – ქართული საბანანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი – საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლია და რომ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა, განათლების კანონში გარკვეული შესწორების შეტანით, საკანონმდებლო უზრუნველყოფას მოახდენს ეროვნული ძეგლისას. ინიციატივა იმასაც გულისხმობს, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელო არ უნდა ექვემდებარებოდეს საერთო გრიფორებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ძეგლის სტატუსის მქონე სახელმძღვანელომ კონკურსში არ მიიღოს მონაწილეობა.

საკანონმდებლო ინიციატივა სამინისტროს სახელმწიფო კომისიის შექმნას ავალდებულებს. მისი აზრით, წიგნიც ცვლილებების შეტანის უფლებაც სწორედ ამ კომისიას ექნება, საფუძვლიანი მსჯელობის საფუძველზე. ამბობს, რომ, „თავისთავად ცხადია, ეს უნდა იყოს პროფესიონალებისგან შემდგარი ჯგუფი და, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს ერთი კონკრეტული პირის ინტერესების ან თვალსაზრისის გატარება. თორემ, ინიციტივალურმა ცვლილებებმა „დედა ენა“ დიდად დააზარალა... უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, როგორ არღვევენ იაკობის პრინციპებს და როგორ აფუჭებენ „დედა ენას“.

რაც შეეხება საბოლოო შედეგს, მივიღებთ თუ არა გოგებაშვილის გადაამუშავებულ, გათანამედროვეებულ სახელმძღვანელოს? ბატონი გოგი გვაპასუხობს: „თავისთავად, გათანამედროვეობასაც ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ კომისიაში მრავალმხრივი მიმართულების პროფესიის ადამიანები უნდა შევიდნენ, მათ უნდა იმსჯელონ, რა სახე მისცენ წიგნს, რომ ის დღევანდელ სკოლაში ღირსეულად იყოს წარმოდგენილი. თუ გადაწყვეტს პროფესიონალითა ჯგუფი, რომ რაღაც შეიცვალოს, რაც არ არის თანამედროვე, ის უნდა შეცვალოს, ოღონდ აუცილებლად გაითვალისწინონ გოგებაშვილის ანდერძი, რომლის თანახმადაც, ცვლილების გარეშე წიგნი მოკვდება... იაკობმა გვიანდერძა, რომ ყოველი ცვლილება „დედა ენაში“ ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სამი მეოთხედის თანხმობით უნდა განხორციელდეს. მოგეხსენებათ, მან „დედა ენა“ ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა და მის სამართლებრივ მემკვიდრედ დღეს განათლების სამინისტრო მოიაზრება. ამიტომ მოვითხოვთ პროფესიონალური კომისიის შექმნა და მისი, სულ მცირე, სამი მეოთხედის თანხმობით უნდა მოხდეს წიგნში ცვლილების შეტანა. კომისია იმდენად პროფესიონალი კადრებით უნდა დაკომპლექტდეს, რომ მათ ვენდოთ გოგებაშვილის „დედა ენის“ თანამედროვე სკოლისათვის მომზადებაში.“

გოგებაშვილის „დედა ენის“ თანამედროვე სკოლისთვის მომზადება ქართველმა ავტორებმა არაერთხელ სცადეს და საკმაოდ წარმატებულადაც. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბოლო დროის ერთ-ერთი სახელმძღვანელო – „დედა ენის“ კვალზე, რომელმაც კომისიის შესაბამისობის დასკვნაც მიიღო და გრიფორებაც, რაც მთავარია, წიგნი იაკობ გოგებაშვილის მიგნებებს სრულყოფილად ინარჩუნებს. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი ნინო გორდელაძე ჩვენთან ინტერვიუში სწორედ ამ აზრს გვიზიარებს და თანამედროვე ეპოქაში გარდაუვალ ცვლილებათა აუცილებლობაზე ამბავილებს ყურადღებას.



ნინო გორდელაძე: „ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან თუკი იაკობ გოგებაშვილი და „დედა ენა“ ენერება წიგნს, მაშინ ის უნდა იყოს გამოცემული უცვლელად, ე.ი. გოგებაშვილის ხელიდან გამოსული ნამდვილი ვარიანტი. „დედა ენის“ კვალზე, ასე ჰქვია ჩვენს სახელმძღვანელოს, რომელიც შედგენილია გოგებაშვილის მიერ 1912 წელს გამოცემული „დედა ენის“ მიხედვით, გრიფორებულია და დღეს ძალიან ბევრ კერძო სკოლაში ამით ასწავლიან. ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ იაკობ გოგებაშვილისეული ნერა-კითხვის ერთად სწავლების ტრადიციული მეთოდის შენარჩუნება, თანამედროვე ბავშვისა და ეპოქის გათვალისწინებით. ეს ამოცანა 2009 წლიდან დავისახეთ და შევასრულეთ კიდევ ჩვენს სახელმძღვანელოში. გადაჭარბებულად მიმაჩნია აზრი, რომ დღეს გოგებაშვილი აღარსად არის – როგორ არ არის, ამ

წიგნის სახით ნამდვილად შენარჩუნებულია, სახელმძღვანელო – „დედა ენის“ კვალზე – არსებითად ეყრდნობა გოგებაშვილის „დედა ენას“. სამწუხაროდ, საჯარო სკოლებში ჩვენი წიგნი ვერ მოხვდა, თუმცა, არაერთ, მათ შორის, საბოლოოდ 150-ე სკოლაშიც იყო არჩეული, მაგრამ სექტემბერში მათ სხვა წიგნი მიუტანეს. ამის თაობაზე მასწავლებლებმა გაკვირვება, უკმაყოფილებაც კი გამოხატეს. ჩემი აზრით, უთუოდ გამოსასწორებელია პირველკლასელთა გრიფორებული წიგნების ბედი. პირველი კლასის სახელმძღვანელოებში სწავლების მეთოდები მართლაც ძველად განსხვავებულია და მასწავლებლებმა სწორედ მეთოდის მიხედვით აირჩიეს ესა თუ ის სახელმძღვანელო. სამინისტროს აუცილებლად უნდა შეეჩიოს ის წიგნები დასაბეჭდად, რომელზეც პედაგოგთა მოთხოვნა იყო! დღეისათვის ფასის კრიტერიუმის წონა, როგორც ვიცო, შეამცირეს და ხარისხის როლი წინ წამოსწიეს, ასე უნდა ემოქმედებინათ 2018 წლის კონკურსის დროსაც. ამ შეცდომებმა სკოლები დატოვა ტრადიციული, აქამდე არსებული, 2009 წლიდან დამკვიდრებული, გოგებაშვილის მიხედვით შედგენილი წიგნების გარეშე. სწორედ ამ შეცდომას მოჰყვა საზოგადოების მხრიდან კრიტიკული პოზიციები: „გოგებაშვილი ამოავდეს“, „დედა ენა დაგვიკარგო“ და ა.შ. შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანად არ დავიკარგავს, არსებობს ასეთი წიგნი, მაგრამ, სამწუხაროდ, საჯარო სკოლების სივრცეში არ მოხვდა, ამით პედაგოგთა უფლებებიც დაარღვეა და მეთოდთა მრავალფეროვნებაც შეიზღუდა. არადა, პირველ კლასში კონკურსი ცალკე ჩატარდა და აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მეთოდთა მრავალფეროვნება. მაგალითად, გოგებაშვილის მიხედვითა და მისი მეთოდის სრული დაცვით ჩვენ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „დედა ენის“ კვალზე რამდენმა სკოლაშიც აირჩია, იმდენი სკოლისთვის უნდა დაებეჭდა სამინისტროს, რადგან ეს არჩევანი სწორედ ამ მეთოდის მიხედვით გაკეთდა. სხვათა შორის, ჩვენ 2017 წელს მიღებული გვაქვს ძველთა დაცვის სააგენტოს საგანგებო კომისიისგან შესაბამისობის დასკვნა, სადაც დადასტურებულია წიგნის შესაბამისობა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ ანბანის სწავლების მეთოდთან, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. გოგებაშვილმა ხომ ნერა-კითხვის სწავლების გასაადვილებლად ანბანის განლაგების უნიკალური რიგი შემოგვთავაზა. მის მიერ გამოყენებული სწავლების ანალიზურ-სინთეზური მეთოდებიც კერნალად გვაქვს დაცული. ასე რომ, წიგნი „დედა ენის“ კვალზე იაკობ გოგებაშვილის მიგნებებს სრულყოფილად ინარჩუნებს, ის არსებობს და 2018 წელს გრიფორებულია.

ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, მეორე საკითხიც – თუკი წიგნი ცვლილება განხორციელდება, მაშინ რამდენად გვაქვს უფლება, მას ისევ იაკობ გოგებაშვილი ეწეროს, და არა – იაკობ გოგებაშვილის მიხედვით? საშიშია, ისტორიული შეცდომა არ დაეშვათ: იაკობ გოგებაშვილი ავტორად უნდა ეწეროს წიგნს, რომელიც 1912 წლით ან მანამდე დათარიღებულია და იაკობის ხელიდანაა გამოსული. შემდეგ განახლებული და სახეცვლილი გამოცემა კი, მინიმალური იქნება ეს ცვლილება თუ უფრო თანამედროვე, მაინც მისი წიგნის მიხედვითაა შედგენილი. თუკი დღევანდელ ბავშვებს რედაქტირებულ, განახლებულ ვერსიას არ მივანობდებით, გენიალური „დედა ენა“ თავის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს. ეპოქის გათვალისწინება აუცილებელია. აქ უკვე სახელმწიფო, სამინისტრო უნდა განსაზღვროს, რამდენად წარმატებულია გოგებაშვილის შესაწარმებლად ესა თუ ის წიგნი.

საზოგადოებო, შესაძლებელია, 1912 წლის „დედა ენა“ სახელმწიფოს მესვეურობით კვლავ გამოიცეს, ისე როგორც, მაგალითად, გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები და ყველაფერს ჰქონდეს, როგორც ძველი, ხოლო შემოსული თანხა იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის განვითარებას მოვახმაროთ. აღსანიშნავია, რომ ბატონმა ზუტა ბურულავამაც გამოსცათ თვით კომუნისტების პერიოდში გოგებაშვილის საბანანე წიგნები, როგორც ძველი, ჩვენი უძეგროფაგისი წიგნი. მაგრამ ამ გამოცემით დღეს სკოლაში სწავლება შეუძლებელია. სასკოლო წიგნს უნდა ახლდეს თანამედროვე სწავლებისთვის საჭირო აპარატი და გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი სტანდარტის მიხედვით. ჩვენ ეს მოთხოვნა შევასრულეთ. ამასთან, სახელმძღვანელო გაფორმებულია ნინო ჩაკვეტაძის შესანიშნავი ნახატებით, გოგებაშვილის სული იგრძნობა და ძალიან თბილია, რაც მთავარია, ბავშვებს ძალიან მოსწონთ. ცალკე გვაქვს გამოკვლეული ნახატების ღირებულება. ასე რომ, საქართველოში არ მივიწყებულა იაკობ გოგებაშვილი, 2009 წლიდან ამ საქმეს ვემსახურებით და მანამდეც, ენათმეცნიერ გურამ რამიშვილის მიერ დაარსებულ სკოლაში, გოგებაშვილის მიხედვით ვასწავლიდით.

ისევ გრიფორებისა და შესყიდვის პროცესს დაუბრუნდები და გეტყვით, რომ დიდი ხარვეზებით წარმოიშობა. პირველი, რაზეც უკვე ვისაუბრე, გონივრულად ვერ გაითვალისწინეს სკოლების არჩევანი. და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი – გრიფორების პროცესს საფუძვლად ედო თეორიული შეცდომა: პირველი კლასი განიხილეს ცალკე და არ გაითვალისწინეს, დაძლია თუ არა საავტორო ჯგუფმა მთლიანი დაწყებითი საფეხურის მასალის დამუშავება, ე.ი. მომდევნო კლასების კურსი. ჩვენს შემთხვევაში, საჯარო სკოლებისთვის შეარჩიეს მე-2 – და მე-6 კლასის ჩათვლით არსებული სახელმძღვანელოები და ამოვიკვიდე პირველი ნაწილი, ანუ სათავე – გოგებაშვილის „დედა ენის“ კვალზე. ე.ი. თვისებრივად მეტად მექანიკურმა ჩარევამ, კრიტიკულმა არასწორმა განაწილებამ გამოიწვია ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი, საზოგადოებაც შეშფოთდა და ფაქტურად გოგებაშვილის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებად აღიქვს. თუ სამართლიანობის აღდგენა გვსურს, ახლაც შესაძლებელია პირველი კლასის სახელმძღვანელოთა კონკურსის ხელახლა გან-

საქალაქური თემა

ხილვა 2019 წლისთვის ამ ხარვეზების გამოსასწორებლად.

იაკობ გოგებაშვილის დიდი მემკვიდრეობის შენარჩუნება, მისი რედაქტირება და თანამედროვე ბავშვებისთვის ამ უნიკალური მასალის ადაპტირება უდავოდ სწორი გზაა. ეს მიზანი დასახულია და დაცულია ჩვენ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოშიც, სხვაგვარად ვერც კულტურისა და ძეგლთა დაცვის კომისია მიაღწევდა მას შესაბამისობის დასკვნას და ვერც გრძელს – განათლების სამინისტრო. გოგებაშვილი არის ეროვნული მემკვიდრეობა, ყველა საავტორო ჯგუფისთვის ლეგიტიმურია უფლება, სცადოს მისი შენარჩუნება. ასეც იყო წლების განმავლობაში. ჩვენც ეს უფლება გამოვიყენეთ და წიგნის ძალიან ადეკვატური სახელი შევურჩიეთ – „დედა ენის“ კვლავ, შედგენილია გოგებაშვილის მიხედვით. წიგნში არაერთხელ აღნიშნულია გოგებაშვილის ვინაობა, ასევე, მასწავლებლის წიგნში მითითებულია, აუხსნან მოსწავლეებს, რომ მათ მიერ შესწავლილი პატარა მოთხრობები იაკობ გოგებაშვილმა შექმნა. შესაბამისად, ჩვენს სახელმძღვანელოში ყველაფერი სამართლებრივად დაცულია. ეს არის ისტორიული ხაზი, ჩვენც ხომ ვალერიან რამიშვილის მიერ შემონახული „დედა ენის“ ვისწავლეთ. შემდეგ ასეთი საშუალო სხვა ავტორთა მიერაც შესრულდა და შევასრულეთ ჩვენც. აქედან გამომდინარე, ამგვარ წიგნთა შემდგენლებს ჰქვიათ უკვე გოგებაშვილის სახელმძღვანელოს თანამედროვეობასთან მისადაგების ავტორები. ქართველი პედაგოგების კორპუსს ეს შესანიშნავად ესმის, საკითხი სამართლებრივად გამართულია და სამინისტრო ამ წიგნებს გრიფსაც ანიჭებს. მაშინ რატომ გაჩნდა პრობლემა? ვფიქრობ, ის უფრო მცდარი და უხერხულია, როცა 2018 წელს გამოცემულ წიგნს ზედ აწერია იაკობ გოგებაშვილი და მისი მთელი რიგი ცვლილებებია შეტანილი. დასაფიქრებელია, ამ ქმედებით ისტორია არ დავამახინჯეთ! ამგვარ სახელმძღვანელოს უნდა ეწეროს – „იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“, ეს უფრო სწორი პოზიციაა. განათლების სისტემაში თავის დროზე ამ მდგომარეობას იზიარებდა მეცნიერი ნინო დობორჯგინიძეც, რომელიც სტანდარტის ჯგუფშიც მოღვაწეობდა და დღესაც ილიას უნივერსიტეტში წამყვანი პოზიცია უჭირავს. მისი აზრის გათვალისწინებაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ცვლილებათა აუცილებლობაზე ისევ გავამახვილებ ყურადღებას: თანამედროვე ეპოქაში გარდაუვალი აუცილებლობაა ნახატებისა და რიგი ლექსიკური ერთეულების შეცვლა. მაგალითად, ხომ ვერ დავტოვებთ სიტყვას „ასასი“, რომელიც იმ დროს დარაჯს ნიშნავდა? ანდა ამ მოძველებულ ფორმებს: „კეკეს თოკი მიე“, „ვასოს შუშა მოე“? ეს არის წიგნის ის ნაწილი, რომელიც დროის მდინარეებს დაემორჩილა და ყველი გაუვიდა. მაგრამ, ამავე დროს, „დედა ენაში“ უთვალავი ისეთი ქართული სიტყვაა, რომელიც დღესაც აქტიური ენის ნაწილია. აი, ეს დიდი სამუშაოა ჩვენ მიერ შესრულებული – რა უნდა დარჩენილიყო, როგორ უნდა გავკეთავდით წიგნს თანამედროვე ბავშვის ინტერესები და მათთვის კითხვის პროცესი უფრო სახალისო გაგვეხადა. ზოგადად, ასეთი ტიპის ადაპტირება, მართლაც დიდი სამუშაოა და მე თუ მკითხავთ, განხილვის თემაც ეს უნდა იყოს – ვინ როგორ შეძლო ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება. ამ ნაწილში განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო ვეთანხმები. მაგრამ უპატიებელ შეცდომად მიმაჩნია სახელმწიფო შესყიდვების ეტაპზე დაშვებული ხარვეზი, რომლითაც მასწავლებლებს არჩევანი შეეზღუდათ.

გოგებაშვილი ბევრი ავტორის წყაროა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს არის ტრადიციული ხაზი ქართული წერა-კითხვის სწავლების, მით უმეტეს, ქართულ ენას უხდებდა ეს მეთოდი, რადგან როგორც ვნებთ, ისევე ვკითხულობთ. გო-

გებაშვილმა ბავშვს „აი იათი“ ენის სამყარო გაუხსნა, მან მი-აგონ ანბანის სწავლების უნიკალურ თანამედროვეობას. თუმცა, ხაზგასმით ვიტყვი კიდევ ერთხელ, რომ იმ ძველი წიგნით დღეს ვეღარ ვასწავლით, რადგან თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით რედაქტირებას და შევსებას მოითხოვს. ეს საშუალო შესრულებულია, სრულიად ადეკვატურია სათაურიც – „დედა ენის“ კვლავ. ამასთან, გაუმართლებელია მოთხოვნა, რომ მხოლოდ ერთი წიგნი შეინარჩუნოს, რომელიც ისწავლის მთელი საქართველო; ამით ჩვენ ალტერნატიულ სახელმძღვანელოებს მოვსპობთ, ეს კი არასწორი იქნება. ან ვინ აიღებს თავის თავზე და გამოარჩევს იმ ერთადერთ და სწორ ვერსიას? ის კი შესაძლებელი და აუცილებელიცაა, რომ კომისიამ მიზანთან შესაბამისობის დასადაგებად შეაფასოს სახელმძღვანელოები. სასკოლო სივრცისთვის ხომ მთავარი გოგებაშვილის უნიკალური მეთოდის შენარჩუნება და თანამედროვე ბავშვის გარემოსთან მორგებაა, და არა – ძველი ლექსიკის ძალდატანებით შენარჩუნება.“



რას ფიქრობთ საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ? – ამ კითხვით მივმართეთ სამინისტროს სკოლამდელი და სასკოლო განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ექსპერტს, თამარ ჯაყელს. მისი აზრით, „ეს საკანონმდებლო ინიციატივა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობას ეფუძნება“ და კომენტარში ამ გაუგებრობათა გარკვევას ცდილობს: „პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ 2017 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა ორი სახელმძღვანელოს შესაბამისობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლთან („დედა ენა – ქართული სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“) და ორივე სახელმძღვანელოს დადებითი დასკვნა მისცა, ანუ კომისიამ ამ სახელმძღვანელოთა საანბანე ნაწილის ძეგლთან შესაბამისობა დაადასტურა.“

ასე რომ, დღევანდელი მდგომარეობით, არსებობს ორი სახელმძღვანელო, რომლებიც შედგენილია გოგებაშვილის მეთოდის საფუძველზე. ამ ორიდან ერთი-ერთი გრიფირებული სახელმძღვანელოა და სკოლებს მისი არჩევის სრული უფლება აქვთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს წიგნი არ მოხვდა სახელმწიფო შესყიდვებში და მსურველმა სკოლებმა თავად უნდა შეისყიდონ იგი.

მეორე რიგში, აღვნიშნავთ, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა კითხვის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდს, ანუ „დედა ენის“ საანბანე ნაწილს. სწორედ ეს საანბანე ნაწილია ძეგლი. ყველაზე კარგად ვიცით, რომ საანბანე ნაწილის გარდა, დედა ენის ნინა-საანბანე და ანბანის შემდგომი ნაწილები აქვს და სწორად ამ ნაწილის ერთობლიობა ქმნის სახელმძღვანელოს, რომელიც განაფუძვლით კითხვის გარდა, აზროვნებისა და მეტყველების სწავლებასაც ისახავს მიზნად. გოგებაშვილი ჯერ კიდევ 1972 წელს წერდა მასწავლებელთათვის განკუთვნილ „დარიგებაში“: „ამ წიგნმა მოსწავლეს უნდა მიაღწევიდეს სამ მიზანდამდე: უნდა გა-

მართოს კითხვაში, გონება გაუღვიძოს და შეასწავლოს თავისი სამშობლო ენა, ე.ი. მეტყველი გახადოს.“

მეტყველების, წერა-კითხვისა და აზროვნების განვითარებას მოითხოვს ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმაც და გრიფის ფუნქციაა, დაადასტუროს, რომ სახელმძღვანელო ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ცხადია, მხოლოდ საანბანე ნაწილი პირველი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოდ ვერ განიხილება. შესაბამისად, საანბანე წიგნის სკოლებში შეტანა-გავრცელება სულაც არ საჭიროებს გრიფირებას. საანბანე წიგნი, როგორც ეროვნული ძეგლი, რომელიც მთელი ერის საკუთრებას წარმოადგენს, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლება დაურიგდეს ყველა პირველი კლასის მოსწავლესა და მასწავლებელს.

სხვა საქმეა გოგებაშვილისეული საანბანე წიგნის პირველი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოდ გარდაქმნის საკითხი. ეს გულისხმობს საანბანე ნაწილისთვის წინასაანბანო და ანბანის შემდგომი ნაწილების დამატებას. ეს ნაწილები კი კონკრეტულმა ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა უნდა შეიმუშავოს. ასეთმა სახელმძღვანელომ კი გრიფირება უნდა გაიაროს იმავე წესით, რომლითაც ნებისმიერმა სხვა სახელმძღვანელომ. სხვაგვარად ისე გამოვა, რომ ავტორთა კონკრეტული მიერ შემუშავებული წინასაანბანო და ანბანის შემდგომი ნაწილები „შეეკედლება“ გოგებაშვილისეულ საანბანეს, რათა გრიფირების პროცესის გვერდის ავლით უკონკურსოდ შევიდეს სკოლებში. ამგვარი მოქმედება ნიშნავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის პირადი ინტერესებით გამოყენებას.

გოგებაშვილისეული საანბანე ნაწილი ვერ იქნება სხვა ნაწილების – ნინა საანბანო და ანბანის შემდგომი ნაწილების ხარისხის გარანტია. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა სამინისტროში საკონსულტაციოდ შემოუტანიდა სახელმძღვანელო, რომელსაც ავტორად გოგებაშვილი ეწერა. წინასაანბანო და ანბანის შემდგომი პერიოდის ნაწილებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით საანბანე ნაწილშიც კი შეტანილი იყო ისეთი აქტივობები, რომლებიც რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა გოგებაშვილის პედაგოგიურ პრინციპებს. მართლაც, გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვის გასაჯარჯიშებლად მისთვის შინაარსიანი ერთეულების გამოყენებას და ემობდა უშინაარსო, მხოლოდ ფორმობრივი ერთეულების მიწოდებას. აი, რას წერდა იგი ჯერ კიდევ 1867 წელს გამოცემულ საკითხავ წიგნში: „სწავლის დაწყება ასობიდან ყმანვილისთვის მავნებელია“, რადგანაც ასობი „არა ჰაზრს არ ხატავენ“. ეს პრინციპი გასდევდა მთელ მის პედაგოგიურ ნაშრომ-ნაღვანს. იგი ამყობდა იმით, რომ „ნემცურნი“ საკითხავი წიგნისგან განსხვავებით, დედა ენა ბავშვებს „უაზრო მარცვლების“ ნაცვლად პირდაპირ სიტყვების ნაკითხვას სთავაზობდა. გოგებაშვილის სახელით შემოტანილ სახელმძღვანელოში კი უხვად იყო უშინაარსო, ფორმობრივი ერთეულების ამოცნობაზე ორიენტირებული საჯარჯიშოები, მაგალითად: „გაიხსენე ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. რომელი ასო-ბგერა არ უნდა იყოს პირველ მწკრივში? მეორეში? რატომ?“ ამგვარი საჯარჯიშოები პრინციპულად ეწინააღმდეგება გოგებაშვილისეულ პედაგოგიკას, რომელიც ზედმინეწვით მიესადაგება სასკოლო ასაკის ბავშვის ბუნებრივ სულიერ სამყაროს.

თუ გოგებაშვილისეული პედაგოგიკის პრინციპების დაცვა გვიწინდებდა, არ უნდა დაეშვათ, რომ რომელიმე ავტორი ან ავტორთა ჯგუფი გოგებაშვილის სახელს ამოეყაროს საკუთარი ინტერესების გასაცანად.“

ინფორმაცია

სამშენებლო მიმართულების პროფესიულ პროგრამებზე დუალური მიღბოებით სწავლება დაიწყო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ საშუალო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც დუალურ სწავლებაში ჩართული კერძო სამშენებლო კომპანიების ინსტრუქტორები და პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრის მიზანს, სამშენებლო მიმართულების დუალური პროგრამების დანერგვის პროცესის უმტკივნეულოდ და ეფექტურად წარმართვა წარმოადგენდა. შეხვედრის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნეს სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობას დაეთმო.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით, მსგავსი შეხვედრების ორგანიზება მომავალშიც დაგეგმილია. პროცესში ჩართვებიან საერთაშორისო დარგის წარმომადგენლებიც, რომლებიც, ინდივიდუალურად იმუშავენ დუალურ სწავლებაში ჩართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მარიკა ზაქარეიშვილი, ზრდასრულთა განათლების სამმართველოს უფროსი: „დღეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება ვინაიდან დუალური განათლების მასშტაბი გავზარდეთ და წელს ბენეფიციარები, სამშენებლო მიმართულებით, დუალურ პროგრამებზე მივიღეთ. პროფესიონალი კადრების გამოზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობა. დღევანდელი დღე კარგი მაგალითია იმ თანამშრომლობის, სადაც მასწავლებლებს კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და ადმინისტრაციას საშუალებ-

ბა ეძლევათ, დუალური განათლების გამოწვევებსა და მიღწევებზე ისაუბრონ.“

როლანდ ბურდიშვილი, კერძო სექტორის წარმომადგენელი: „უკვე ათი წელია, რაც ვთანამშრომლობთ განათლების სისტემასთან, ჩვენთან დუალური განათლების პროგრამები ხორციელდება და საწარმოში სტუდენტები პრაქტიკულ ჩვენს ეუფლებიან. ჩემი აზრით, ეს არის ზუსტად ის, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, რადგან დღეისათვის რისი ნაკლებობაც არის ქვეყანაში, ეს არის პროფესიონალების, არა დიპლომირებული ადამიანების, არამედ იმ პროფესიონალების, რომელთაც შეუძლიათ ამა თუ იმ საქმის კარგად კეთება,

რადგან კვალიფიციური გამოცდილება აქვთ მიღებული, დუალური სწავლების ფარგლებში.“

იოჰან ტაისი, GIZ-ის წევრი: „დღეს პროფესიული პედაგოგებისა და სამშენებლო კომპანიების ინსტრუქტორების პირველი ჯგუფის შეხვედრაა. ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, სხვა ქვეყნების მსგავსად, წელს უკვე საქართველოშიც დაინერგა დუალური განათლება სამშენებლო სექტორში. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება ქართველ პარტნიორებს მხარს უჭერს სკოლაში და კომპანიაში პროფესიული ტრენინგების ორგანიზებაში, რაც დუალური სწავლების უკეთ წარმართვას უწყობს ხელს.“



ხარისხის განვითარების სენტი

ავტორიზაციის ახალი სტანდარტები პროფესიულ განათლებაში

ჩვენი გაზიარებული მიზანმიმართული პოლიტიკაა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრიდან, ქალაქში შევიდა ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ. დარგის მისწავლების, ექსპერტებისა თუ სპეციალისტების შეფასებით კანონმა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებსა და ითვალისწინებს ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს, უნდა უზრუნველყოს პროფესიული განათლების ახალ ხარისხობრივ საფეხურზე გადასვლა. ამისთვის კი არაერთი კანონმდებლობითი აქტისა თუ დებულების შემუშავება იქნება საჭირო, რომ კანონით გათვალისწინებულ ყველა მიმართულებას დახვედნისა და განვითარებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი შექმნას. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის პროექტზე ვისაუბრეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, კახაბერ ქრამიძეს.



რამ განაპირობა ცვლილება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი ბოლოს 2010 წელს დამტკიცდა და დღემდე მოქმედებს. იგი სამი მიმართულებით ამოწმებდა სასწავლებლებს – პროგრამული ნაწილი, ადამიანური და მატერიალური რესურსები. გასული წლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე ხშირად დაწესებულებას ავტორიზაციაზე უარს გამოვრამულ ნაწილში აღმოჩენილი ხარვეზების გამო ეთქმოდა. დღეს სხვა რეალობა გვაქვს, ყველაზე მეტი ხარვეზი მატერიალური რესურსების ნაწილში ფიქსირდება. პროგრამული ნაწილი ბევრად უფრო გამართულია, ამის წინა პირობა კი ცენტრის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტი გახლავთ, რასაც კანონი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს არქმევს, რომელშიც ამომწურავადაა ჩამოყალიბებული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. ამიტომ, ამ მხრივ, პრეტენზიები სასწავლებლის მიმართ, თითქმის აღარ გვაქვს.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, აქ აუცილებელი იყო ცვლილება, რადგან მოქმედი (ძველი) სტანდარტი მთლიანად ეფუძნებოდა ექსპერტის შეფასების გეგმვებს, რაც, ბუნებრივია, არაერთხელ გახდა დავის საგანი; დაბოლოს, ახალმა კანონმა პროფესიული განათლების შესახებ მთლიანად შეცვალა პროფესიული პროგრამის განმახორციელებლის, ანუ პედაგოგისადმი მიდგომა და ბუნებრივია ეს აუცილებლად უნდა ასახულიყო შეფასების კრიტერიუმებშიც. ასე რომ, თქვენი კითხვის პასუხად მოკლედ შემიძლია გითხრა, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტმა მთლიანად ამოწურა თავისი თავი, თუნდაც იმ მხრივ, რომ აბსოლუტურად არ ითვალისწინებს იმ ახალ მიდგომებს, რომელიც ბოლო წლებში დაინერგა, ვგულისხმობ კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებას და დუალური სწავლების პრინციპების შემოტანას პროფესიულ განათლებაში, რასაც სხვაგვარი რეგულირება და ხარისხის უზრუნველყოფა სჭირდება. ფიქრობ, აღნიშნული გარემოებები იძლევა საკმარის საფუძველს, რომ შეგვეცვალოს ავტორიზაციის სტანდარტები და შესაბამისად, მიდგომებიც და პროცედურებიც.

ახალი სტანდარტები

პროფესიული განათლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ კანონითა და თანხმდები კანონმდებლობით განსაზღვრა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფა, შეფასება ავტორიზაციის მიზნებისთვის 5 სტანდარტის მიხედვით განხორციელდება. აქვე მინდა აღვნიშნო ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ – პროფესიულ განათლებაში აღარ გვექნება პროგრამული აკრედიტაცია, იქნება მხოლოდ ავტორიზაცია, რაც სავსებით ლოგიკურია. არ იყო სწორი, როცა სასწავლო პროგრამის შინაარსობრივი, ხარისხობრივი შეფასება, რასაც გულისხმობს აკრედიტაცია, მხოლოდ დაწესებულების სურვილის შემთხვევაში ხდებოდა. ამიტომაც შეერწყა ეს ორი თემა ერთმანეთს. ავტორიზაციის ახალი სტანდარტი ისეთივე სიღრმისეული აქცენტებს აკეთებს პროგრამის შინაარსზე, როგორც ამას აკრედიტაციის შემთხვევაში გააკეთებდა; კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახელეა კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების კუთხით. მოქმედი სტანდარტით კოლეჯი კი ადგენდა საკუთარ ვალდებულებას, რომ უნდა აქციონდეს მისი და ის საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი სტრატეგიული განვითარების გეგმით, მაგრამ, როგორ, ამაზე არ კეთდება აქცენტი. შესაბამისად, ექსპერტის და საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში, შეაფასოს მისიის რელევანტურობა და სტრატეგიული დაგეგმვის ადეკვატურობა დაწესებულებაში, სცდება არსებული სტანდარტის მოთხოვნებს, ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რეკომენდაციებით, რაც, ბუნებრივია, ვერ იქნება ავტორიზაციისთვის უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, პირველი სტან-

დარტი ცალსახად ეხება მისიის გააზრებას და აქედან გამომდინარე სტრატეგიული დაგეგმარების ადეკვატურობას. ახალი სტანდარტების პირობებში კოლეჯებს მოუწევთ, მეტად დაფიქრდნენ თავიანთ მისიაზე, რათა უფრო რეალისტური იყოს სტრატეგიული გეგმა. პროცესში უნდა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე (პოტენციური დამსაქმებელი, პარტნიორი ბიზნესის წარმომადგენელი, სტუდენტი, მასწავლებელი...). ჩვენი მოთხოვნა იქნება სტრატეგიული დაგეგმარებისა და მისიის თანხვედრა პროფესიული განათლების მიზნებთან და პოლიტიკასთან. კოლეჯმა კარგად უნდა გაიაზროს, პროფესიონალების შესახებ კანონში დეკლარირებული მიზნებიდან რომელია მისი კომპეტენციის ფარგლებში, სწორად დაინახოს საკუთარი ადგილი განათლების სივრცეში და აქედან გამომდინარე, საკუთარი მისია და სტრატეგია პროფესიონალების მიზნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

მეორე სტანდარტი, პროგრამული რესურსი, შენარჩუნდა, თუმცა, როგორც გითხარით, უფრო სიღრმისეული იქნება მისი შეფასება. ახალი სტანდარტი გულისხმობს პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობას საგანმანათლებლო სტანდარტებთან, მაგრამ მხოლოდ ფაქტობრივი შესაბამისობა საკმარისი არ გახლავთ. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული პროგრამის შინაარსი, რომ სასწავლო გეგმა მაქსიმალურად რეალისტური და რელევანტური გამოვიდეს, გონივრულ დროში უზრუნველყოფდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას პროფესიული სტუდენტებისთვის. ვგულისხმობ იმას, რომ თუ სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა, დაახლოებით, 6 თვის განმავლობაში, მხოლოდ ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას და სტუდენტს პროფესიასთან არაერთხელ შეხება არ ჰქონდა, ახალი სასწავლო გეგმით, ზოგადი ტრანსფერული უნარები მთელი პროგრამის მანძილზე ვითარდება, დარგობრივი კომპეტენციის უნარების პარალელურად. ძალიან მნიშვნელოვანია, კოლეჯმა სწორად განსაზღვროს პრაქტიკის გავლის დრო, განსაკუთრებით, დუალური სწავლებისას – რა დროს გაატარებს სტუდენტი კოლეჯში და რა დროს – საწარმოში. ამავე სტანდარტით აქცენტი კეთდება სტუდენტის შეფასების კრიტერიუმზე, რომ მთლიანად გამოირიცხოს ყოველგვარი ფორმალობა.

შემდეგი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაა. თუ ადრე კოლეჯის მიდგომა იყო, რაზეც მიიღო ავტორიზაცია, იმ პროგრამას ხელს ვეღარ ახლებდა, რაც ეწინააღმდეგებოდა განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომას, ახალი სტანდარტი პირდაპირ ეუბნება, თუ რომელიმე პროგრამით შეუძლებელია დასახული შედეგის მიღწევა, კოლეჯი ვალდებულია, იზრუნოს მის კორექტირებაზე, შეცვლას და განვითარებაზე. განვითარებაში ახალი პროგრამების ინიცირებაც იგულისხმება, რაც აუცილებლად უნდა ემყარებოდეს წინარე კვლევების საფუძველზე გაკეთებულ არგუმენტირებულ დასკვნებს, რადგან პროგრამის განხორციელება უკავშირდება როგორც საბიუჯეტო, ისე კერძო რესურსებს. აქ აუცილებლად უნდა ჩანდეს, რამდენად შესაბამისობაშია მოთხოვნილი პროგრამა შრომის ბაზართან, საზოგადოების საჭიროებებთან.

ავტორიზაციის მოთხოვნებში შემოდის ასევე პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერი ღონისძიებები. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა აქამდე მთლიანად შიდა რეგულაციაზე იყო დამოკიდებული, ახალი კანონით ის, ცენტრალურ დონეზე, გარკვეულ რეგულაციებს დაექვემდებარება. ამჟამად მუშაობა მიდის შესაბამის კანონქვემდებარე აქტებზე, თუმცა კოლეჯის ვალდებულება, დაიცვას სტუდენტთა უფლებები, თავად შესთავაზოს და მხარი დაუჭიროს მათ მიერ ინიცირებულ აქტივობებს, ჰქონდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ სრული სტატისტიკა, რა თქმა უნდა, რჩება კოლეჯის მოვალეობად.

მეოთხე სტანდარტი ადამიანურ რესურსებს მოიცავს და გუ-

ლისხმობს როგორც პროგრამის განმახორციელებელ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს. აქცენტი კეთდება ადმინისტრაციული რესურსის საკმარისობაზე – შეუძლებელია ადამიანის რესურსით კოლეჯის სრულფასოვანი მართვა, ფაქტობრივად, ეს დაუძლეველი მისიაა. როცა მინისტრის ბრძანების საფუძველზე (რასაც კანონი ავალდებულებს), დამტკიცდება პროფესიული მასწავლებლის პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი განვითარების სქემა, კოლეჯების ავტორიზაციის დროს იგი აუცილებლად იქნება ერთ-ერთი სავალდებულო კრიტერიუმი. სქემის პროექტი უკვე შეიმუშავა მასწავლებელთა სახლმა.

მესამე და ბოლო სტანდარტი მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს და იმ სივრცეების ადეკვატურობას შეამომწმებს, რაც ავტორიზაციის მისაღებად მოეთხოვება დაწესებულებებს. ესაა: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, სარეკრეაციო სივრცე, მათი უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ხელმისაწვდომობა შშმ და სსსმ პირებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია და შეფასებისას გაითვალისწინებთ (სტანდარტის მოთხოვნით) მასალების, ნედლეულის შენახვისა და განკარგვის რეგულაციებს. ჩვენი მიზანია, სტუდენტი სწავლის პროცესშივე მიეჩვიოს სიმულაციურ გარემოში წარმოქმნილ ნარჩენების განკარგვას. ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ, ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებას ემსახურება და მეორე მხრივ, კურსდამთავრებული საწარმოში ამ მიმართულებითაც მომზადებული მივა.

რაც შეეხება საინფორმაციო რესურსებს და საინფორმაციო უსაფრთხოებას, ეს საკითხები თანამედროვე მსოფლიოსთვის გამოწვევად იქცა და, ბუნებრივია, კოლეჯის ავტორიზაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. თავად დაწესებულების ინტერნეტშია საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაცია, იქ დასაქმებული ადამიანების შესახებ ინფორმაციის საიმედოდ დაცვა, აქცენტი კეთდება ელექტრონულ რესურსებზე. ჩვენ დაწესებულებებს ვაგადავით, რომ სტუდენტებს სწორედ სასწავლო საშუალებების ელექტრონულ ვერსიებზე ჰქონდეთ წვდომა.

სიახლეა სტანდარტში ფინანსური რესურსიც. დაწესებულებას მოეთხოვება, კარგად განსაზღვროს პროგრამის (და მთლიანად კოლეჯის) ხარისხიანი განხორციელებისთვის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი, თუნდაც სტრატეგიული დაგეგმარების კონტექსტში, ასევე ჯგუფების რენტაბელურობის საკითხი, პროგრამის ბიუჯეტის ზუსტი და რეალისტური გაწერა, რაც, ჩვენი მხრიდან, გარე ექსპერტული შეფასების საფუძველი გახდება.

სულ ეს არის, რაც ახალ სტანდარტებს შეეხება. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ (და ეს ძალიან მნიშვნელოვანია) პროფესიული სასწავლებლებისთვის ეს არ იქნება მოულოდნელი, რადგან სამუშაო პროცესში მონაწილეობდნენ და, ჩვენი ცენტრის მხარდაჭერის პროგრამის წყალობით, სასწავლებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა სტანდარტების დიდ ნაწილთან უკვე თავსებადობაშია, თუმცა არის გარკვეული გამოწვევები. ორ კვირაზე მეტია, ჩვენი სპეციალისტები დადიან სასწავლებლებში და აკეთებენ ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის თვითშეფასებას, თითქოს, ისინი ახალი სტანდარტით გადაიან ავტორიზაციას. ამ გზით ვიგებთ რა მიმართულებით აქვთ ხარვეზები, რომ დაწერგვამდე პერიოდი მათ გასასწორებლად გამოვიყენოთ. დრო გვაქვს და ინტენსიურ მუშაობას ვაგრძელებთ, მით უმეტეს, რომ სტანდარტების ცვლილებას მოყვება პროცესში მონაწილეობებიც, ექსპერტთა კორპუსის განახლება, უფრო მოქნილი იქნება შეფასების მიდგომა, სავარაუდოდ გადაიხედება პროფესიული განათლების (მათ შორის კერძოსიც) დაფინანსების სისტემა და ა.შ. იმედი გვაქვს, რომ ახალ სტანდარტებზე გადასვლა, თავისთავად, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების გაცილებით მაღალ ხარისხობრივ დონეს.



აუდიოგრაფიული როლი უსსოური ენის სწავლის პროცესში

უსსოური ენის სწავლების მეთოდები მუდმივად იცვლება. თანამედროვე ეტაპზე ჩვენ ვერ მივიჩნევთ უპირატესობას რომელიმე კონკრეტულ მეთოდს, რადგან ყველა მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი უსსოური ენის სწავლის დროს არის აუდიოგრაფია (მოსმენა). თანამედროვე სახელმძღვანელოებში მოსასმენი ტექსტები მრავალფეროვანია: დიალოგები, მონოლოგები, ტელე-რადიოგადაცემები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აუდიოლინგვური მეთოდი გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა და აქტიურად გამოიყენებოდა ენის შესწავლის დროს, დღემდე მოსწავლეებს უყალიბდება ნეგატიური დამოკიდებულება მოსასმენი და ვალებების მიმართ. ისინი ხშირად თვლიან, რომ ტექსტში ბევრი უცხო სიტყვა იქნება და მოსასმენი და ვალების მონაკვეთები გამოეყოფა და რჩება. მსგავსი მიდგომა მოსწავლეების დემოტივაციას იწვევს. სირთულე თავს იჩენს სწავლების ყველა საფეხურზე, რადგან გულისხმობს ენის მატარებლის ტექსტის გაგებას. ჩვენი მიზანია, გაუმარტივოთ მოსწავლეებს მეთოდის სპეციფიკური სირთულეების დაძლევა და დაუხასხოს ენის ფლობის დონის შესაბამისი მიზნები.

აუდიოგრაფიული მუშაობის პროცესი

მოსასმენი ტექსტები გაკვეთილზე სხვადასხვა მიზნით მუშავდება. არსებობს მოსმენის სამი ძირითადი ტიპი:

- გლობალური მოსმენა;
- შერჩევითი, ანუ სელექციური მოსმენა;
- დეტალური მოსმენა.

გლობალური მოსმენის დროს, მოსწავლის ამოცანაა, გაიგოს ტექსტის ძირითადი არსი. სელექციური ტიპის მოსმენისას, მოსწავლეს ეძლევა გარკვეული და ვალებები ტექსტიდან ინფორმაციის ამოთქმის მიზნით, ხოლო დეტალური მოსმენის დროს – ტექსტი მუშავდება ყველა ნიუანსის გათვალისწინებით.

აუდიოტექსტთან მუშაობა მოიცავს სამ ეტაპს:

- და ვალება ტექსტის მოსმენამდე;
- და ვალება ტექსტის მოსმენის პროცესში;
- მოსმენის შემდეგ და ვალების შესრულება.

ტექსტის მოსმენამდე, როგორც წესი, ხდება ლექსიკური ერთეულების განხილვა. ლექსიკური ერთეულებში, ჩვეულებრივ, გამოიყოფა საკვანძო სიტყვები, რომლებიც გაუმარტივებს მოსწავლეს შინაარსის გაგებას და შეუქმნის პირველად ნარმოდგენას ტექსტის თემაზე.

შემდეგი ეტაპია უშუალოდ ტექსტის მოსმენა. ეს პროცესი გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, თუ მოსასმენ და ვალებას თან ახლავს საგარეო, მაგალითად, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა. მსგავსი და ვალება აქტიურებს მოსმენის პროცესს და ხელს უწყობს აუდიოტექსტზე მეტ კონცენტრირებას.

მოსმენის შემდეგი და ვალება ამონებს რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა აუდიოტექსტის შინაარსი. ამ მიზნით, შეგიძლია გამოიყენოთ კითხვებზე პასუხის მეთოდი, დახურული და ღია ტესტები. მაგალითად, 6 კითხვითი სიტყვიანი საგარეო, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე მეთოდიკა:

- ვინ?
- რა (გაკეთა)?
- როდის?
- სად?
- როგორ?
- რატომ?

ამ სქემის გამოყენება ყველა ტიპის ტექსტისთვის მიზან-

შენიშნავს მიზანია.

მოსმენის შემდგომი და ვალებების მიზანია ტექსტის გაგების კონტროლი, წინასწარი ვარაუდის გადამოწმება და თვით ტექსტზე მუშაობა. ამ მიზნის მისაღწევად სრულდება მისადაგების ტიპის და ვალებები, რომელთა ვარიაციებია:

- ნაბეჭდი ტექსტის მისადაგება მოსმენილ ტექსტთან;
- სურათის მისადაგება ტექსტთან;
- სწორი-არასწორი ტიპის და ვალებები (მოკლე მოსასმენი ტექსტებისთვის);
- დიახ/არა პასუხის ტიპის და ვალებები (მოკლე მოსასმენი ტექსტებისთვის);
- სწორი თანამიმდევრობის და ვალება (სიტყვების, დასათარგმნების, სურათების საშუალებით);
- ცხრილის შესება;
- რომელი წინადადებაა მართებული? – ტიპის და ვალებები.

აუდიოგრაფიული მუშაობის მასხარატივები

მოსმენის უნარის გასავითარებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მოსასმენი და ვალების შემდეგი მასხარატივები: მოსასმენი ტექსტი არის ნაცნობ თემაზე; უცხო სიტყვების რაოდენობა არ აღემატება 3%-ს; უცხო სიტყვების განლაგება ტექსტის ყველა ნაწილში თანაბარია; შენარჩუნებულია ბუნებრივი საუბრის ინტონაცია და ტემპი – 3-4 სიტყვა წამში.

აუდიოტექსტი ლოგიკურადაა აგებული. გათვალისწინებულია ფსიქოლოგია დასკვნა: საკვანძო ინფორმაციის საუკეთესო ათვისება – 90%-ის ხდება მაშინ, როდესაც ის განლაგებულია აბზაცის დასაწყისში, 80%-ის – აბზაცის ბოლო ნაწილში და 20%-ის – შუაში.

მოსასმენი მასალის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეების ინტერესი. კარგი შედეგი გვექნება მაშინ, როდესაც ტექსტი აუდიტორიისთვის საინტერესოა და არ არის გადატვირთული რთული ლექსიკური კონსტრუქციებით. სწავლების სხვადასხვა ეტაპზე შეგიძლია გამოიყენოთ განსხვავებული ფორმის ტექსტები: მონოლოგები, დიალოგები, ფრაგმენტები ფილმებიდან, ტელეგადაცემებიდან და ა.შ.

სასურველია, აუდიოგრაფიული მუშაობის ელემენტი იყოს, რადგან ის მნიშვნელოვნად უაღვილებს მოსწავლეებს ენის შესწავლის პროცესს.

ენის ფლობის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავდება მისაღწევი მიზნები და, შესაბამისად, მოსასმენი და ვალებების სტრუქტურაც.

ენის ფლობის ელემენტარული დონეზე (A1) უმჯობესია, მოსწავლეებს შევთავაზოთ ტექსტები აქტუალურ საყოფაცხოვრებო ან სოციალურ-კულტურულ თემაზე. ტექსტის მოცულობა – 120-150 სიტყვა, უცხო სიტყვების მოცულობა – 1%.

ენის ფლობის საბაზო საფეხურზე (A2) მოსასმენი ტექსტების თემატიკა კვლავ უნდა იყოს აქტუალური მოსწავლეებისთვის და, ამავდროულად, ითვალისწინებდეს დონის შესაბამის ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას. ტექსტის მოცულობა იზრდება 300-400 სიტყვამდე, ხოლო უცხო სიტყვების მოცულობა შეადგენს 2%-ს.

მოსასმენი და ვალებები რთულდება **მომდევნო დონეზე (B1 და B2)**. მოსწავლეები ისმენენ სხვადასხვა ფორმის ტექსტებს მსჯელობის ელემენტებით. ძირითადად, მოსასმენი მასალა არაადაპტირებულია და მისი მოცულობა 600-800 სიტყვაა (B1) და 1200-1500 სიტყვა (B2), უცხო ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, შესაბამისად – 3%, 4%.

მოსწავლეების თვითშეფასება და შეფასება

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი, ჩვეულებრივ, მოსწავლე-

ების შეფასებას ეთმობა. მოსასმენი და ვალებების შესრულების შემდეგ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეების მოსაზრებები და ვალების შესახებ. ამ მიზნით, შეგიძლია გამოიყენოთ თვითშეფასების კითხვარი ან უბრალოდ მოსწავლეებმა დააფიქსირონ თავიანთი აზრი. განსაკუთრებით შედეგანია ეს მეთოდი ენის სწავლების საწყის ეტაპზე. მაგალითად, მოსმენის შემდეგ, მე-7 კლასელების რეფლექსიებში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა: „გამიჭირდა სიტყვების დამახსოვრება“; „მეშინოდა, რომ გრძელ სიტყვებს ვერ დავიმახსოვრებდი“. პირველი მოსმენის დროს ვერაფერი გავიგე“; „მიჭირს ასეთი და ვალებების შესრულება. ბევრი მეცადინეობა მომიწევს“; „საინტერესო იყო ამ და ვალებების შესრულება. მე მომეწონა.“

მსგავსი გამოკითხვა ეხმარება მასწავლებელს შემდგომი მეცადინეობის დაგეგმვაში.

მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ მოსასმენი და ვალების შეფასების კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკებს ქმნის თავად პედაგოგი და ისინი მორგებულია კონკრეტულ აქტივობებზე.

მაგალითად, შეგიძლია გამოიყენოთ შემდეგი რუბრიკა:

მოსასმენი და ვალების შეფასების რუბრიკა

ქულა	როგორ უნდა მოსწავლეს საუბარი, გამოაქვს თუ არა ძირითადი აზრი მოსასმენი ტექსტიდან.
10-9	მოსწავლეს თავისუფლად ესმის მოსასმენი ტექსტი. ასრულებს ყველა და ვალებას.
8-7	მოსწავლე იცვებს მოსაუბრის თითქმის ყველა სიტყვასა და ფრაზას. ასრულებს თითქმის ყველა და ვალებას.
6-5	მოსწავლეს შეუძლია მოსასმენი ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანა. უჭირს და ვალებების შესრულება.
4-3	მოსწავლე ძალიან ცუდად იცვებს მოსაუბრის სიტყვებს, ძირითადი აზრის გამოტანა არ შეუძლია. ვერ ასრულებს და ვალებებს.
2-1	მოსწავლეს საერთოდ არ შეუძლია აზრის გაგება, ესმის მხოლოდ რამდენიმე სიტყვა. ვერ ასრულებს და ვალებებს.
0	მოსწავლეს არ აქვს განვითარებული მოსმენის უნარი.

იულია ტარ-მიჩაელიანი

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „РАЗВИТИЕ НАВЫКОВ СЛУШАНИЯ И ГОВОРЕНИЯ НА УРОКАХ РУССКОГО ЯЗЫКА“ – методическое пособие/сост.: Г.Кожамкулова, К.Шомина. – Астана, 2015г.;
2. „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა“. ავტორები – თინათინ კილურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების“ პროგრამა, 2013;
3. „Практическая методика обучения русскому языку как иностранному“, Л.С. Крючкова, Н.В. Моцинская. Москва. Издательство „Флинта“, Издательство „Наука“. 2011г.

ინფორმაცია

ქართული მოსწავლეების სტუმრობა CERN-ში

ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნების ოლიმპიადებში გამარჯვებული, ბაკსუდის სამეცნიერო სკოლის მონაწილე 10 საუკეთესო მოსწავლე საჯარო და კერძო სკოლებიდან და მათი პედაგოგები შევიცარიაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში (CERN) იმყოფებოდნენ.

ცერნში რამდენიმე დღიანი სტუმრობისას მოსწავლეები ქართულ და უცხოელ მეცნიერებს შეხვდნენ, უახლეს ტექნოლოგიებს, ახალ აღმოჩენებს და იმ მნიშვნელოვან პროექტებს გაეცნენ, რაზეც ცერნის მეცნიერები მუშაობენ.


ცერნის დათვალიერება საინფორმაციო ლექციით დაიწყო. ლექციაზე მოსწავლეებმა სრული ინფორმაცია მიიღეს თუ რა არის ცერნის ძირითადი დანიშნულება, ეს არის ფუნდამენტალური კვლევები მაღალი ენერგიების ფიზიკაში, ინოვაციები, განათლება და გამოცდილების გაზიარება.

ამავე დღეს მოსწავლეებმა ცნობილი „გლობუსის“ გამოფენა დათვალიერეს და ქართველი მეცნიერის ალექსანდრე მესტირიშვილის CMS ექსპერიმენტს გაეცნენ, რომელიც 90



მეტრის სიღრმეზე სპეციალურად საქართველოს დელეგაციისთვის გამართა მეცნიერება. CMS ექსპერიმენტი ერთ-ერთია დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე სამი უდიდესი ექსპერიმენტიდან.

ტექნოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესებული ქართველი მოსწავლეების ცერნში ვიზიტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის მიზიდვა და დაინტერესება ფუნდამენტური კვლევებით, ინჟინერიით, IT ტექნოლოგიებითა და მათემატიკით.



საუბრაბი ლიტერატურაზე

მედროვეობის არსი და მედროვეთა სახეები მიხეილ ჯავახიშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში

დრო-ჟამის ცვალებადობა ხშირად ზნეობრივი ღირებულებების შერყვნა-გაუქმდებლობას იწვევს, ამიტომაც, როცა დღევანდელ ყოფაზე ვფიქრობ, ღირებულებათა გადაფასების ამ საოცარ სურათს ვაკვირდები, მახსენდება აკაკი ბაქრაძის სიტყვები: „საშიში ქურდობა კი არ არის, საშიშია ქურდის მიმართ მონივნების გაჩენა. საშიში ფლანგვა კი არ არის, საშიშია მფლანგველის მიმართ მონივნების გრძობის გაჩენა. საშიში ქრთამი კი არ არის, საშიშია მექრთამის მიმართ მონივნების გრძობის გაჩენა. ქურდსაც, მფლანგველსაც, მექრთამესაც და სხვა ამგვარ ავაზაკსაც მოვევლება, მაგრამ რა ეშველება მონივნების გრძობას, რომელიც მათ მიმართ გაჩნდა?!“ თუ კადნიერებაში არ ჩამომერმევა, აკაკი ბაქრაძის ჩამონათვალს დავუმატებდი: რა ეშველება მონივნების გრძობას, რომელიც დღეს ჩნდება იმ ნაძირლების, ზნედაცემულების, მედროვეების მიმართ, ფხა და ლახათი, შწო და მარიფათი მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად, ხელის მოსათობად რომ გამოუყენებიათ და ზნეობრივი ღირებულებები არად ჩაუგდიათ, სულზე ზრუნვა დავიწყებითა და ხორცი უღალბითა?! ამგვართა მიმართ გაჩენილი მონივნების გრძობის გასაქარწყლებლად სიტყვიერების მასწავლებელს შესანიშნავი მასალა აქვს ხელთ: მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“. ეს ნაწარმოებები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს დიდძალ მასალას აძლევს ადამიანთა ერთი ნაწილის – მედროვეთა ყოვლის ნაამბობნავი შინაგანი განწყობის – გარე საწყაროსთან მხოლოდ და მხოლოდ უტილიტარული დამოკიდებულების კანონზომიერების გასაანალიზებლად, მედროვეობის რაობის, ამ მოვლენის გაჩენის ხელისშემწყობი მიზეზების, მედროვეთა მიზნის მისაღწევი საშუალებების, მათი მსგავსება-განსხვავების არსის ასახსნელად.

მაინც ვინ არის მედროვე? „ოთხფეხს ტკიბი შეუჩნდება, ფუტკარს ნინქალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაეკსოვება და ასე ცხოვრობენ სხვისი წყნით. ნეტა ადამიანიც ასე მოზარ არის მონყობილი?!“ – ასე ასრულებს მ. ჯავახიშვილი თავის „დამპატიჟეს“ – მოთხრობას, რომელმაც მწერლის მიერ შექმნილ მედროვეთა „გალერეას“ კიდევ ერთი მედროვე – ოქროპირ-დამპატიჟე შეჰმატა და ამით ერთგვარად დაასრულა ადამიანთა ერთი ნაწილის – მედროვეთა შინაგანი განწყობის – კანონზომიერების ძიება, უფრო ადრე კი მედროვის ორი დასრულებული სახე შექმნა – კვაჭო და ჯაყო (ამასთანავე ცნებებიც – კვაჭობა და ჯაყობა). მედროვეები ის ადამიანები არიან, ტკიპის, ნინქლის, ფითრისა და ფათალოს მსგავსად, სხვათა „წვენით“ რომ არსებობენ დღენიდაც, ადამიანები, რომელთათვისაც ცხოვრება „მუქთი ნობათივით“ მიედინება. მედროვეთა ფილოსტერული შეხედულება, ცხოველური მორალი შეიძლება იმავე სიტყვებით გამოვსახოთ, კინოფილმ „ვედრებაში“ მაიკლი რომ ეუბნება ღვიისას: „ცხოვრება დუმაა, ვთალოთ და ვიყოთ, სანამ ვართ.“ მედროვეები ყველა დროისა და ყველა-ნაირი მდგომარეობის შესაფერის ყალიბზე არიან გამოქონილი, ყველა დროს შეუძლიათ, მარჯვედ მიერგონ და ყოველთვის „სამიღდრო“ იარაღში იყენენ ჩამხედარნი. ამ მოვლენის გაანალიზება იმიტომაც არის აქტუალური, რომ მედროვეები ერთ რომელიმე ეპოქაში ან დროის რომელიმე მოსაკვეთში როდი ჩნდებიან. მათ გამოჩენას არც მხოლოდ ერთი გარკვეული მიზეზი უწყობს ხელს. მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები განაპირობებენ მათ წარმოჩენას, უმალ კი წყლის ამღვრველს იჩენენ ხოლმე თავს მედროვეები, უჩუმრად მსხვილი ორატორების დასაჭერად. მიხეილ ჯავახიშვილიცა და პოლიკარპე კაკაბაძეც ნათლად გვიჩვენებენ თითოეული მათგანის (ჯაყოს, ყვარყვარეს), როგორც ამა თუ იმ პერიოდის მედროვის, გაჩენას რა განაპირობებს, შედგეს – მედროვეთა მძლავრობას – რა უდევს საფუძვლად. ამ მხრივ ყველაზე მეტ სათქმელსა და საფიქრალს „ჯაყოს ხიზნები“ ბადებს, ამიტომაც, თუ გვინდა, მოსწავლეები შეგნებულად გაერკვნენ მედროვეობის არსში, სწორედ ამ ნაწარმოებით უნდა დაიწყეთ ამ მოვლენაზე მსჯელობა, დაგანახვით, რომ თეიმურაზ ხევისთავის უძღურება, ცრუსაქმიანობა, უენერგიობა, უსაფუძვლო კვანძა, ფუჭი ცოდნა და უმწეო ალტრუიზმი (როგორც მას აკაკი ბაქრაძე უწოდებს) ჯაყო ჯიჯაშვილის მოკავშირე და თანამდგომარე. თუ ისევე აკაკი ბაქრაძეს დავესჯიხებით, „ჯაყოს მოძალადე მიზანთარობა, თეიმურაზის უმწეო ალტრუიზმის დაუხმარებლად და ხელშეწყობლად ვერ იარსებებს (ამიტომაც არის თეიმურაზი ისეთივე დამნაშავე, როგორც ჯაყო)“ (ა. ბაქრაძე, „მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“). ბოროტების (ჯაყო) და უმწეობის (თეიმურაზი) ტანდემი ბადებს მათ ერთობლივ მსხვერპლს – მარგოს. სიმბოლურად მარგომი მოიაზრება ძვირფასი და სასუქვარი არსება, რომელიც უგვანი და უსუსური პატრონის ხელში ლაფში ამოისვრება. სისუსტე, უმწეობა, ურწმუნობა, უხერხემლობა, მერყეობა, ადამიანურ გრძობათა ატროფია, ქალადის ჩრჩილობა, ფრაზიორობა და სხვა კონკრეტული თვისებები მისი, ე.ი. ძალისა, რომელსაც შეეძლო და მართებდა კიდევ, წინ აღდგომოდა ბოროტებას, განაპირობებს ჯაყოსა და ჯაყობის გაჩენას. „თეიმურაზის ურწმუნობის ვაკუუმში ჩნდება და იბუდებს ჯაყო“ (თამაზ ვასაძე), ე.ი. მედროვეები ჩნდებიან მაშინ, როცა ღირსეული მონიშნაღმდეგეები არა ჰყავთ. თეიმურაზი ამბობს: „მართალია შეთევზე, რომელმაც მღერი წყლით ისარგებლა, ბრალიანი არც მგელია, რომელიც უპატრონო ბატკანს წაწყდა.“ გაიხსენოთ „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი მოქმედებაც, როცა ყვარყვარე გაბედულად მიეჭრა სევასტის: შენ ახლა ჩემთან გაქვს საქმე და თუ ვაჟკაცი ხარ, გამაგდრო, მაგრამ საკმარისი იყო, სევასტის ღირსეული პასუხი მიეცა, რომ ყვარყვარე უმალვე გაქცეულიყო და შიშისგან აკანკალებული ტომრებს ამოფარებოდა. მედროვეები მაშინ იმარჯვებენ, როცა პასიურ პატიოსნებას ეჯახებიან, რადგან

თეიმურაზისნაირების პასიური პატიოსნება ყოველთვის ითრგუნება, ამიტომაც ჯაყოსა და მისთანებს რკინის მუშტითა და გულით უნდა დახვედრა და არა უნიათო წუნუნითა და ვაი-ვი-შით, მაშინ კი ვერ გაიმარჯვებს ძალა ცოდნაზე და უმეცრება ვერ იქნება წარმატებული. თუ განვაზოგადებთ ზემოთ თქმულს, მოსწავლეები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ მედროვეთა გაჩენასა და პარაპსს ხელს უწყობდა დროის მიერ ამღვრული წყალი, ღირსეულ მონიშნაღმდეგეთა არარსებობა და იმათი, ვისაც მართებდა მათთან ბრძოლა – ან უხერხემლობა, უნიათობა-უგერგილობა, ან კიდევ პასიური პატიოსნება, რომელსაც აქტიური უპატიოსნება ყოველთვის ამარცხებდა და დღესაც ამარცხებს, კონკრეტულად კი – უგერგილო და მომწვარული ხევისთავი, არეული დრო, ზოგჯერ – შემცდარი თემიდაც. ჯაყოსა და ყვარყვარეს საგრძნობ განსხვავებასთან ერთად ერთი უმთავრესი საფრთხე თვისებაცაა აქეთ – სულიერი ისოლაცია, რომელზედაც დაფუძნებულია არც თუ ისე ამაღლებული მიზნებისაკენ მათი ყოველგვარი საშუალებებით სწრაფვის უნარი. ინტერესმოკლბული არ იქნება, თუ მოსწავლეებს დავაფიქრებთ მედროვეთა არსენალზეც – ვის რა ხერხები და საშუალებები აქვს მიზნის მისაღწევად? როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, ჯაყოსა და ჯაყობის მთავარი დასაყრდენი და საფუძველი არის ძალადობა: „ჯაყოს დილით დილაძე უნდა ეკიდა რუსული თოფი, მაუზერის დამბაჩა, თეიმურაზის მამაპაპეული ხმალ-ხანჯალი და არსენალად გადაქცეული, ასევე შეიარაღებული ნათესავებით გარემორტყეული, ყველას ემუქრებოდა და თავზარს სცემდა: „ჩემია, ჩემია! ყოფი დედას გიტრებდე, ვინც მოხვიდოდე!“ ჯაყოს გარეგნობის გროტესკული, მსუფე ფერებით ხატვა და ნაქურდალი, უკეთ – წანაგლეჯი, ხანჯლის აქცენტირება მკითხველისათვის მის ბნელ ძალას ადვილად საცნაურს ხდის იმათივე. ძალადობის მოტრფიალე ჯაყოს არც მოქნილობა და გაიძვერობა აკლდა, არც პრინციპების უმალ შეცვლაზე ამბობდა უარს. ნიკოლოზი რომ გადმოაგდეს, არეულობით ისარგებლა, მთებიდან ნათესავების მთელი რაზმი ჩამოიყვანა, შეიარაღა და გლეხებს მუქართი დაერია: „მინები მინები“, თან საქვიწყოდ გაჰკივდა: „გავიმარჯოს უორდანიას მთავრობასა“, „გავიმარჯოს, სანყალი ხალხი მინა მოგეცი უორდანიამა“, შემდეგ, როცა ისევე შეიცვალა სიტუაცია, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, გარემოების შესაბამისად ურცხვად აღრიდა: „ჩვენი ხალხი ძალიან რევალცია ხალხია“, „ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობა, ძირს უორდანიამა!“ ჯაყო მუდამ გარემოების კვალაზე იგრძობოდა, თუ მუქარა არ გასჭირდა, აქნავლებაც შეეძლო, აცრემლებაცა და გაკრავებაც, მტერთან „შერიგებაც“ და ხელისუფლებასთან ღიჭინიც. „შენი ნირომე, მარტო ნალოგი თუ ნაილებდე, წლეულს ძალიან ცუდი მოსავალი გქონდა, ყველასა გმინა, შენი ნირომე!“ ამ ვითომ ხალხზე ზრუნვით ის თავის ორპირობას, თვალთმაქცობასა და ფარისევლობას ფარავდა და ამავე დროს ეს „ხალხზე მზრუნველი“ ჯაყო თავის ნათესავებს – მამაკაცებსა და დედაკაცებს ისე ამუშავებდა, რომ მუყაით და გულკეთილ გლეხი იმრიგად თავის საქონლს არ გამოიმეტებდა. ე.ი. ჯაყოსათვის მიზნის მისაღწევა საშუალებათაგან უმთავრესია ალვირასხის ძალადობა, მაგრამ მისთვის არც ქლესობა-პირფერობა, თავის შეცოდება-მებრალეება უცხო, საბოლოო ჯამში, მიზნის მიღწევის მისეული ხერხები ტლანქია და უტიფარი. უშმაკი, ხელმარჯვე, ქვეშეშემა და ხერხიანი ისი თუმცადა უფიცო და გაუნათლებელია, მაგრამ კარგად იცის, რომ დრო ისე მალიმალ იცვლება, არაფერი იცის, როდეს რა გამოადგება კაცს, ამიტომაც ჰყავს მონათლული შვილებიცა და მოუნათლავებიც: „ვინ იცის, როდის დაგჭირდეს ჯაყოსა მოუხათლავი შვილები!“ „კადნიერმა და რევენმა, ხეგრემ და მოუხეშავმა“ არაფერი იცის, მაგრამ ყველაფერი შეუძლია, „სამარჯვერივითა აქვს ალვილი ცხოვრების ფხა, ხოლო ალოო – გარეული ძალივით განვითარებული.“ ჯაყო ყოველთვის თავის კალაპოტში გრძნობს თავს, სხვისი დაწავრა და შეურაცხყოფა მისთვის ისევე ნიშანდობლივია, როგორც მგლისთვის – სისხლიანის ჭამა, თეიმურაზის თქმისა არ იყოს, ამიტომაც არ გვიკვირს, ორფეხა პირუტყვად რომ ჰყავს გადაქცეული ცოლი – ნინო, უფრო ის უნდა გვიკვირდეს, მარგოს დედოფლად რომ დაისვამს და ყველას ყმებდ დაუყენებს, მაგრამ ესეც მიჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიაა, რითაც მოხიბდა ჯაყომ მარგო ყაფლანშივილი, რომლის უკანაც იმაღლება გარდაუვალი გახრწნა და დაცემა. ჯაყოს ხასიათიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური შედეგი – გამხდარი, ლოყებჩაყვითლებული, მუშაობით ხელგებდაქცეული, საქონლად გადაქცეული მარგო, რომელსაც ჯაყო ისევე ამუშავებს, როგორც წინანდელ ცოლებს, ზურგზე საფეხავსაც აჰკიდებს ხოლმე და ზოგჯერ სცემს კიდევაც.

ჯაყობა და ყვარყვარეობა ცალმხრივი და ერთფეროვანი მოვლენა როდია, ჯაყო „ახლად შობილი, ახალი ჯურის ადამიანი იყო, ჰქონდა დროის შესაფერისი კუნთები, ბასრი კლანჭები და ფოლადის კბილები.“ აი, რითი ახერხებენ ჯაყოები უძღური ჭიყვალების გასრესას, ქონების დაგროვებას, უფლებების ხელში ჩაგდებას და გემრიელი ლუკმის გაჩენას, სხვისთვის ცოლის წართმევას, სახლ-კარის, ბაღ-ვენახისა და ეზო-ნაფუძრების დასაკუთრებას, ნათესავებისა და მთელი სოფლის დამორჩილებას, დაბრყვებასა და უღელში შეშვას, რადგან „ღმერთს ბატკებისა და თევზებისათვის ე.ი. სუსტებისათვის არა სცალიან“, როგორც თეიმურაზ ხევისთავი იტყვის: „ღმერთი მხოლოდ ძლიერთათვის სცდილობს და ზრუნავს“. უნიადაგო ხელისუფლება, მისი უთაურობა, უსუსურობა – აი, რა უწყობს ხელს ყვარყვარეს აღზევებას. ყვარყვარე, ალბათ, ნაცარქექიასგან იშვა. მისგან იმეკვიდრა სიზარმაცე, ცრუ ფაციფუცი, სიმზადლე, ღილაკი კი მაქვს, მარა შენისთანა პატიოსან კაცს თითო როგორ დავაკარო, კაცს ხელს როგორ შემოვარტყამ, სეინდისი გობქემს კი არ შემიწახავს“, ბაქიაბა: „გ ზამთ რომ დიდი ლოდი მოვხეიქე და მთიდან

გრიალ-გრიალით დავაგორე, ის ხომ თქვენი თვალით ნახეთ!“ „ჩვენს სოფელში ერთხელ ხელით რომ ხე მოვიხარე, არ გახსოვთ?“ „მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცი თუ არ მოვეკალი, ავად ვხდები“, მოხერხება: „მათი ენა რომ არ ვიცი?! აა, მუნჯი ვარ, ვითომ მუნჯი ვარ... მუნჯური ხომ ყველა ენაზე ერთნაირია.“ ალბათ, აქვე მთავრდება ნაცარქექიასთან მსგავსება და ქართული ზღაპრის ამ გულუბრყვილო და კეთილი გმირის თვისებათა ტრასნფორმირება მედროვე, ფლიდი, გაიძვერა ყვარყვარეს თვისებებზე. ყვარყვარეს ცხოვრების კრედილო საოცრად ჰგავს მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დახატულ მედროვეთა „ზნეობრივ“ პრინციპებს: „ცხოვრების ნესი მე ასე გამიგია, კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყვეა, მოთხარე; მაგრამ თუ მაგრადაა, გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქილოს.“ ყვარყვარეც, ჯაყოს მსგავსად, ამყოლს აჰყვება და დამყოლს დაჰყვება, თუ საჭირო განადა, ცხერის ქურქში გაეხვევა, თუ საჭიროებამ მოიტანა – მგლის ტყავსაც მოისხამს, სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია: „სირცხვილს რომ სჭამ კაცი, თუ ვარჯიხარ, მაშინ თავი უფრო მალა უნდა ასწიო!“ ჯაყოს არ იყოს, „პოლიტიკურ შეხედულებებსაც“ ადვილად იცვლის ყვარყვარე: „მე სოციალისტები უფრო მიყვარს, ისინი რომ ქადაგობენ, სწორედ ჩემი საქმეა, რომელ სახლშიც გინდა, შედი და მოირთხე მაგრად ფეხი, სმა-ჭამა სულ მუქთი იქნება. მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს ეკულესიამი დავკიდებდი, სულ წმინდანებითი წვალთვით ხალხისათვის.“ სხვა საქმეა, რამდენად „პოლიტიკური“ სოციალისტების არსის ამგვარად ახსნა. სანამ ამ არსში ვერ გარკვეულა ყვარყვარე (უკეთ რომ ვთქვათ – სანამ არ იცის, რომ რევოლუციიდან გამორჩენა ექნება), გულმდულარედ ეხვეწება გამომძიებელს: „მეფის მოლაპატებები, ბატონო, მე ყოველთვის მძულდა, – მე არ ვარ ის კაცი, გაიგონეთ – მამ, არაფერს დამიჯერებ?! მალრობ მართალ კაცს?!“ საოცრად დინამიურად იხატება ყვარყვარეს მეტამორფოზა: ჯერ კატეგორიული მტკიცება: „ის კაცი მე არა ვარ“, მერე შეძრწუნებული კაცის მიში: „სასუფეველში, უსათუოდ მახრებენ!“, მერე გაღვებული ფიქრი: „რევოლუცია მოხდა? რას ლაპარაკობს ეს კაცი?!“ მერე კი გატახტებული იმედი იმისა, რომ სადაღაც მომხდარი რევოლუცია მისთვის შეიძლება მენველ ფურად იქცეს: „ეჰე! (თავს ასწევს) რევოლუცია მოხდა? – დიახ! – (აბაყად) მერე?“ ჩვენ თვალწინ დამჩაივებული, შიშით გულგალეული ყვარყვარე „გმირად“ იქცევა და აღმფთვთეული კითხულობს: „მერე ჩემი თავგანწირვა?“ „ჩემი ამოდენა თავის დადება და ამაგი ახლა წყალში გადაიყრება, თუ როგორ გგონია?!“ აქაც უთუოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ყვარყვარესა და ყვარყვარის მიხედვით გაჩენას მხოლოდ ის რიონის უწყობს ხელს, „სადაღაც რომ მოხდა“, ირგვლივმყოფთა უნიათობაც, უგერგილობაც, სიმძლავლეც მათი აქტიური მოკავშირეა. ყვარყვარეს „გმირად“ აქცევს ის გადამწერი, ამ ნაცარქექიას „უუნამებულეს კაცს“ რომ უწოდებს, ის გამომძიებელი, „უუდღედს რევოლუციონერად“ და დიდ მოღვაწედ რომ წათლავს, ის გენერალი და პოლიკონიკი, ფინიებივით რომ შეჰყენენ: „გემორჩილებითი“, ის ტიტე ნატუტარი, „ჩვენი დროის ნაპოლეონის“ თიკუნს უშურველად რომ უბოძებს, ის რწმუნებული, „შეიარაღებული ჯარების უფროსად“ რომ ნიშნავს და ის ბრბო, ტიტე ნატუტარი რომ ასე ახასიათებს: „წარმოვდგინოთ თავმეყრილი ათი ათასი კაცი, ყოველ მათგანს თითო კაცის ღონე აქვს და ჩვენ მათ ღონეს თუ შევავრთებთ, ვლებულობთ უზარმაზარ ძალას. მაგრამ ათი ათასი კაცის ჭკუას თუ შევავრთებთ, ეს იქნება ვირის ჭკუაზე უფრო ნაკლები და, ამიტომაც ასე ხდება – გამოდის საუკეთესო ვინმე და თავისი ერთი ჭკუით სულ ყველას იმორჩილებს“; ის უსახო ინდივიდები, უმეცარი ბრბო, რომელსაც „ერთი ჭკუით“ იმორჩილებს უბრალო ყვარყვარე, უკეთესი ლიდერის ღირსი არც არის. ვინც იქნება, თავს მას დაუტრავს ყვარყვარე: „როგორც არ უნდა შეიცვალოს მთავრობა, სულ ერთია, ვინც იქნება, თავი მე უნდა დამიკრას.“ ფიქრებს ყველა მთავრობას კოლოფითი მორაგებს ყვარყვარე, ძლიერ უყვარს თავისი თავი და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველაფერს იკადრებს. „ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერი, – დარიგებას აძლევს თავის თავს, – მართალია, ერთხელ დაიბადე, მაგრამ მეორეჯერ კი არ დაიბადები, მოითმინე, ფეხის ერთი დაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია.“ ქამელიონივით ცვალებადია ყვარყვარე, ყოველ მდგომარეობას ადვილად ეგუბა და თავის გადაარჩენისათვის ყველაფერს იკადრებს. იგი, ჯაყოსი არ იყოს, ძალადობით აღწევს მიზანს (საყურადღებო ერთი რამაა – სადაც გასდის!); „დაურთეთ თოფის კონდახები, ისე მოსცხეთ, რომ დაწინარდნენ, შენ, ჰეი, მაგას თავი გაუხეიქე და მაშინ შეუშვებს შიგ ახალ-ახალი ცხოვრების აზრს“, „ხალხი თავის მტერთა, თუ არ მოწყეს, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შწო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა!“ სწორედ ამ ხალხმა მისცა თავისივე დასარტყამი ჯოხი ყვარყვარესაც და ჯაყოსაც. ერთი საერთო თვისება აქვე ჯავახიშვილისა და კაკაბაძის მედროვეებს – სულის სილატაკე, საერთო მათთვის ისიც, რომ ეს უზარმაზარი და უსაზღვრო ქვეყანა თავისი „უთვალავი ფერით“ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთთვის გაჩენილად უგულვებითა, ხელეწოასვით სულ საკუთარი თავისკენ უთლიათ. რაც შეეხება განსხვავებას, უკვე ითქვა მედროვეთა ხერხების რაგვარობაზე. საერთოდ ბევრი აქვე ჯაყოსა და ყვარყვარეს (აქვე უპირიანი იქნება მიხეილ ჯავახიშვილის კიდევ ორი მედროვე გმირის – კვაჭისა და დამპატიჟეს სხენებაც) და განსხვავებულიც. ამ უმეცარი, მაგრამ უშმაკი მედროვეებიდან ზოგმა ძალადობა გაიხად დასაყრდენად და ამით აღზევდა უნიანარდნად, მეტად ხშირად პრიმიტიული საშუალებებით ებრძოდა სიკეთეს და იმარჯვებდა კიდევ, ზოგი დრომ და პასიურ პატიოსნებასთან შეჯახებამ წარმოაჩინა, ზოგიც „მოჭარბებული მეძებრის ალომ, დაკვირებისა და შეთვისების უნარმა“ და ენერგია.

საუბრაბი ლიტერატურაზე

„ჯაყოს ხიზნებში“, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“, „დამპატიჟესა“ და „ყვარყვარე თუთაბერში“ არა მარტო მედროვეთა სახეები დახატული, არამედ ჯაყობის, კვაჭობის, დამპატიჟეობის, ყვარყვარეობის სინდრომის არსია ახსნილი და მისი ყველა ნიშანია ნაჩვენები. ჯაყოც, კვაჭიც, დამპატიჟეც, ყვარყვარეც მედროვის, თაღლითისა და გაიძვერის ზოგად სახელად იქცა, განზოგადდა თავად მოვლენაც – მედროვეობა, ახლა უკვე ჯაყობად, კვაჭობად, დამპატიჟეობად, ყვარყვარეობად სახელდებულნი. ის, რასაც აკაკი ბაქრაძე ჯაყობის შესახებ ამბობს, თამამად შეგვიძლია განვაზოგადოთ დანარჩენ მედროვეებზეც: „ჯაყობა, (კვაჭობა, დამპატიჟეობა, ყვარყვარეობა), არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, ღირსების, პატივის, სახელის მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ურცხვი უპრინციპობა, უსაზღვრო ექსპლუატაცია, მოჩვენებითი კეთილდღეობა. ეს საშინელი მოვლენა უნდა ამოიძიროს, რამეთუ იგი განვითარებას, ევოლუციას, სახეცვლილებას არ ემორჩილება“ (აკაკი ბაქრაძე, „მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“). მედროვეობა თავზარდამცემია არა მარტო დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, არამედ მომავლისთვისაც. მწერლის მიერ ამ მედროვეთა ნარმოჩინებას განვამოც ახლავს, რადგან „მწერალს განგაშის ზარების დარისხებაც მართებს“, ამიტომაც მიხელო ჯავახიშვილი და პოლიკარპე კაკაბაძე არაფერს დაერიდნენ ხალხის მიძინებული თვითშეგნების გამოსაღვიძებლად, როგორც ვ. კანკავა იტყვოდა ჯავახიშვილზე: „მკითხველს

ჯაყო მოუქნია, რათა თეიმურაზივი არ მოჩვარულიყო“, სიფხიზლისკენ მოუწოდეს მკითხველებს, რათა არ შეერყია მათთვის რწმენა ბოროტების აღზევებას, რომელიც ყოველთვის დროებითია, აკი დაენია ჯაყოს ბედი-მდედარი – ხალხმა ლაზათიანად მიბეგვა, თავიც გაუხეთქა, ძარცვა-გლეჯით შეძენილი თუ უსინდისოდ მოპოვებულ-მითვისებული წაართვა, თეიმურაზისეული სასახლიდან გამოაგდო და ისევ გომურში შელალა. მართლაც, „დიდ არს ძალა ბედი-მდედრისა“, ყვარყვარეს თავი კი შერჩა მხრებზე, მაგრამ თვითონვე აღიარა: „გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბეროო!“ თავის დროზე ცხოველი კამათი გამოიწვია ამ ნაწარმოებებში. იწერებოდა, ერთი მხრივ: „მ. ჯავახიშვილი არის ანატომი, რომელიც ჰკვეთავს ქართველი ერის სხეულს, რადგან ეს სხეული განვითარების დულიშობია. იგი მტკიცედ, სასტიკად, გაბედულად და შეუბრალებლად ჭრის და აცლის ამ სხეულს ყოველივეს, რაც იმის განვითარებას ხელს უშლის, წინ ეღობება“ (ივ. გომართელი). მეორე მხრივ, მ. ჯავახიშვილს ამგვარ რამესაც ეუბნებოდნენ: „თუ გინდა, ძველებურად მიგილოთ და გულთბილობა გავრძნობინოთ, შენი შემოქმედებიდან ჯაყო ამომალეო“ (ქ. ჯავახიშვილი, „მამაჩემი“, „მნათობი“, №9, 1987, გვ. 143).

გამოაცხადეს. ჯავახიშვილისა და კაკაბაძის მიერ შექმნილი ტიპები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯაყო თავის ბუნებაში ჩააბრუნეს, იგი არ მომკვდარა. გავიხსენოთ, რას ეუბნება იგი თეიმურაზს: „ბევრი ნაგართვეს, მაგრამ კიდევ ბევრი დაგრჩაო“ და ახალი საქმის მოკვარახტინებას აპირებს. არც კვაჭის სიკვდილს მოასწავებს მისი დადუმება, დამპატიჟეს მოსპობის ოცნება, ალბათ, აუხსენელი დარჩება თვედორეს. ყვარყვარესაც შერჩა თავი და მისი ამონაკვნესი: „ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგებაო“, ხომ სწორედ ასე უნდა გავიგოთ, რომ საკმარისია, „ამინდი დაუდგეს“, ყვარყვარე ისევ გაშლის ფრთებს.

ლილია ხონელიძე ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინტეპირაბული გაკვეთილი

პუსმინოთ გულს „გული“ ბიოლოგიურად და „გული“ ენობრივი თვალსაზრისით

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „გული“ მცირე ზომის ნაწარმოებია, მაგრამ ძალიან სავეს, ღრმა და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. თავიდან მინდა გითხრაო, რომ გულის და-მორჩილება ძნელია. ჩვენ გულის კარნახით ვმოქმედებთ და გული ჭკუასაც მართავს. მოგხსენებათ, გული მარცხენა მხარესა და ალბათ, ბიოლოგიის მასწავლებელი დამეთანხმება, გული გრძნობებისა და ვნებების მხარეა, ამიტომ გულის წინააღმდეგ წავსვლა ძნელია.

ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე, მეცხრე კლასში, სწავლობენ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „გულს“, ბიოლოგიაშიც მეცხრე კლასში ისწავლება „ადამიანის გულის აგებულება და მუშაობა“. ვინაიდან გულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ტვინში იქმნება გარკვეული ბაზა, რომელიც შემდეგ უკვე ჩვენს რეაქციებსა და, აქედან გამომდინარე, ჩვენს ემოციას, განწყობილებებსაც განსაზღვრავს, ქართული ენისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა ინტეგრირებული გაკვეთილი: ქართულში – ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ (უსამშობლო კაცის ტრაგედია ფრაზეოლოგიური გამოთქმებითურთ) და ბიოლოგიაში – „ადამიანის გულის აგებულება და მუშაობა“ (2 საგაკვეთილო საათი).

- ქართული ენის გაკვეთილზე მოსწავლეებმა:
• გააანალიზეს ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში „გული“ ნამოჭრილი პრობლემა;
• შეადარეს მოცემული ტექსტი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ანდერძის იმ მონაკვეთთან, რომელშიც უშუალოდ უსამშობლო კაცის ემოციებზე იყო საუბარი;
• შეაფასეს ტექსტში ასახული პრობლემა ემოციური თვალსაზრისით, მათთვის სასურველი ფორმით;
• ლექსიური მარაგის გამდიდრების მიზნით, ივარჯიშეს ლექსიკონზე მუშაობის წესების დაუფლებასა და განაფვაში.
ბიოლოგიის გაკვეთილზე კი, ნაიკითხეს გულის მუშაობის ციკლის ელექტროკარდიოგრაფიული ჩანაწერები (ამისთვის გამოვიყენეთ შესაბამისი აღჭურვილობა: „გულის“ მოცულობითი მოდელი; ელექტროკარდიოგრაფიული ჩანაწერი, მოსწავლეებმა გამოიყენეს ორგანოთა სისტემის მოდელი, შეადგინეს სქემა, მოიპოვეს მასალა, ისარგებლეს ენციკლოპედიებით, ლექსიკონითა და ინტერნეტით, მასალა განათავსეს კომპიუტერში).

კლასში ირიცხება 24 მოსწავლე, ამიტომ კლასი დავეყავით ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფში გავაერთიანეთ 6 მოსწავლე, მათ თავად აირჩიეს წინამძღოლი, რომელმაც თავისი ჯგუფის ნამუშევარი ნარმოგვიდგინა. თითოეული ჯგუფი 5 მოსწავლის შემადგენლობით მუშაობდა ერთ კომპიუტერთან. წინა გაკვეთილზე ვთხოვე მოსწავლეებს, მოეძიათ ლექსიკონები და ამოეწერათ ყველა ლექსიკური ერთეული, რომლებიც გულთან იყო დაკავშირებული. მათ იცინა, რომ გადატანითი მნიშვნელობით გული წარმოდგენილია, როგორც ცენტრი, წყარო, საწყისი ადამიანის შინაგანი, სულიერი და გონებრივი ცხოვრებისა. ამასთან დაკავშირებით, ამ სიტყვით აღინიშნება ადამიანის ფსიქიური ცხოვრების სხვადასხვა მხარე. ასევე, ამოწერილი ჰქონდათ ფრაზეოლოგიური გამოთქმები. მათ მიერ ამოკრებილ მასალას გავეცანი, ვთხოვე დალაგება და მათთვის კლასიფიკაციის მინიჭება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (5 წუთი):

- I ჯგუფი – ყოველგვარი სახის ემოციები და გრძნობები, აქტივობის განცდები. მაგ., გული მოუვიდა, გული გაუტყდა, გული დასწყდა, გული ეტკინა, საერთოდ ყველაფერი, რაც პიროვნების შინაგან სამყაროს ხატავს, მაგ., ამაყი გული აქვს, ჩილი გული აქვს, ხარბი გული აქვს;
II ჯგუფი – ყურადღება: რთული სიტყვები – კომპოზიტები, მაგ., გული დაუდო, გული აიყარა, გულისყური, გულმოდგინება;
III ჯგუფი – შემეცნების პროცესები: ორგანული შეგრძნებები, პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები, ნიჭი, უნარი,

მიდრეკილებანი, ტემპერამენტი, გული ერევა, გულს აზიდებს, გულის წვა აქვს, გულიდან გადავარდნა, გულში ჩარჩენია, გულმა გაუგო, გული მიმიხვდა;

IV ჯგუფი – ყველა მასალა, რაც სამივე ჯგუფმა მიანოდა, განათავსეს კომპიუტერში.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფის ლიდერმა შედეგები წარმოადგინა.

თითოეული ჯგუფის პრეზენტაციას 5-5 წუთი დაეთმო. პროექტორზე ასახული გულის მუშაობის კადრის ფონზე, მოსწავლეებს დაევალებოდა ჯგუფებში წაეკითხათ ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „გული“. მათ გაიაზრეს ტექსტი და აქცენტი გააკეთეს მნიშვნელოვან დეტალებზე, კერძოდ, აღმოაჩინეს ავტორის დამოკიდებულება უსამშობლო კაცის ამგვარი აღსასრულისადმი. შემდეგ მოსწავლეებს მოვასმენინეთ ნაწყვეტი შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“, „აუთანდილის ანდერძი“ და ვთხოვეთ ემსჯელათ ლორთქიფანიძის „გულს“ და „ანდერძის“ მოსმენილ მონაკვეთზე, გამოეკვეთათ, რა პრობლემა ამ ტექსტში (15 წუთი).

ტექსტის კითხვისას აქცენტი გააკეთეს ემოციებზე და უპასუხეს კითხვებზე:

- ა) თქვენი აზრით, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მონაკვეთში?
ბ) რისი საშუალებით გამოიხატება ემოციები?
შემდეგ გაკვეთილზე შემოგვიერთდა ბიოლოგიის მასწავლებელი და ჯგუფებს დაავალა (ორგანიზება და წინარე ცოდნის შემოწმებას ბიოლოგიის მასწავლებელმა დაუთმო 5 წუთი):
I-მა ჯგუფმა გაარკვია, თუ რა ფაზებისგან შედგება გულის მუშაობის ციკლი, რა ემართება სისხლს: ა) წინაგულების შეკუმშვის დროს, ბ) პარკუჭების შეკუმშვის დროს, გ) საერთო მოდუნების მდგომარეობაში.
II ჯგუფმა განსაზღვრა გულის მუშაობის ციკლის ხანგრძლივობა (ნაშებში), თუ რამდენ ხანს გრძელდება წინაგულებისა და პარკუჭების შეკუმშვა? რამდენ ხანს გრძელდება წინაგულებისა და პარკუჭების მოდუნება? განსაზღვრეს გულის მუშაობისა და დასვენებაზე დახარჯული დროის თანაფარდობა და გულის შეკუმშვათა სიხშირე, დაახლოებით, 1 წუთში.
III ჯგუფმა გამოიკვლია დამოკიდებულება ეკგ-ს კბილებსა და ინტერვალებს შორის გულის მუშაობის ციკლის ფაზებთან, ვინაიდან, გულის მუშაობის დროს, ადამიანის სხეულში ვრცელდება მისი ბიოდენები. გულის ბიოდენების ჩანერას სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან (გულმკერდის ზედაპირი, ზედა და ქვედა კიდურები) სპეციალური ხელსაწყოს – ელექტროკარდიოგრაფის დახმარებით, უწოდებენ კარდიოგრამას – ეკგ.

IV ჯგუფმა კი ყველა გამოკვლეული მასალა განათავსა კომპიუტერში, კერძოდ:
ა) გულის მუშაობა;
ბ) გულის მუშაობის ციკლის ფაზები;
გ) ხანგრძლივობა (წმ);
დ) სისხლის მიმოქცევა.

თითოეული ჯგუფის პრეზენტაციას ასევე დაეთმო 5-5 წუთი. ამის შემდეგ ჯგუფებში მომზადდა საპრეზენტაციო მასალა და გამოვლინდა ტექსტი. ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს მოასმენინა გულისცემა. ქართულის მასწავლებელმა, გრაფიკულ მონაცემებზე დაყრდნობით, დასვა კითხვა: თქვენი აზრით, ჩვენი ნაწარმოების პერსონაჟები, ემოციური თვალსაზრისით, ამ გრაფიკზე დაკვირვებით, სად შეიძლება მოვიპოვოთ (გრაფიკის რომელი მონაკვეთი ასახავს მათ ემოციურ მდგომარეობას)? ზაგმეების ნააზრევზე დაყრდნობით, მასწავლებელმა გააშუქა გრაფიკის ის ადგილი, რომელიც პერსონაჟების ემოციურ მდგომარეობას შეესაბამებოდა და შეადარა დანარჩენ ნაწილებს: რით განსხვავდება

ჩვეულებრივი ადამიანის გულის მდგომარეობა ჩვენი პერსონაჟების ემოციებისაგან (გულისცემისაგან?). ქართულის მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეებმა გრაფიკის თითოეულ მონაკვეთს შეუფარდეს შესაბამისი ემოციის შესატყვისი სიტყვები: მშვიდი, აღელვებული და გრაფიკის თითოეულ მონაკვეთს მოსწავლეებმა დაარქვეს შესაბამისი სახელი ემოციური თვალსაზრისით (15 წუთი).

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს დაურჩევდათ გაკვეთილზე ჩართულობისა და პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეფასდნენ და შეაფასეს თანაკლასელებიც (5 წუთი).

- 1. რამდენად არგუმენტირებულად იმსჯელა თემის პრობლემაზე მოსწავლემ (პრობლემის არსის წვდომა);
2. რამდენად გასაგები და ნათელი იყო გადმოცემული აზრი;
3. რამდენად შემოქმედებითად მიუდგა პრეზენტატორი საკითხს. მოსწავლეებმა გამოავლინეს ფანტაზიის უნარი, ორიგინალობა და დაასკვნეს: გული არის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო როგორც ბიოლოგიურად, ასევე ენობრივი თვალსაზრისით, ანუ გული – ყველაფრის გულია.

შედეგად, ქართულის გაკვეთილზე მოსწავლეებმა მოისმინეს და ჩამოაყალიბეს თვალსაზრისი პრობლემების გარშემო გამართულ ჯგუფურ დისკუსიებში, განიხილეს ტექსტში გადმოცემული ან ნაგულისხმევი თვალსაზრისები სხვადასხვა კონტექსტში (ცხოვრებისეული ან ლიტერატურული გამოცხადილება). ასევე, წერილობით გადმოსცეს თვალსაზრისი სადავო და პრობლემურ საკითხებზე მათთვის სასურველი ფორმით (მოთხრობა, ნოველა, ჩანახატი, ლექსი). ლექსიკონის, ფრაზეოლოგიზმების თუ სხვა ენობრივი ნიშნების კათვალის ნიშნით, მოსწავლეებმა მოისმინეს მსჯელობა კონკრეტულ საკითხებზე და წარმოადგინეს თვალსაზრისი აუდიტორიის წინაშე, მოისმინეს სხვების აზრი, გამოიტანეს დასკვნა. ბიოლოგიის გაკვეთილზე კი კი გამოიყენეს და შექმნეს ორგანოთა სისტემების მოდელი/სქემა მათი მოქმედების (მაგ. გული – ტუმბო) პრინციპის სადემონსტრაციოდ და ოქმის სახით წარმოადგინეს ცდა. გამოიყენეს ინფორმაციული, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და გლობალური ქსელი.

ლია გომონია ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

რუსუდან ბაფრინდაშვილი ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

P.S. მეცხრეკლასელმა მოსწავლეებმა შემდეგ გაკვეთილზე შექმნეს ანიმაცია „გული“, რომელიც შევიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <https://www.facebook.com/lia.gogokhia/videos/1899978653385288/>

- გამოყენებული ლიტერატურა:
1. ქართველი მწერლები სკოლაში; ნიკო ლორთქიფანიძე. თბილისი, 2000წ.
2. ონიანი ა., ქართული იდიომები, თბილისი, 1966წ.
3. ცუზმერი ა., პეტრიშინა ო., ადამიანი. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი, 1989წ.
4. ვებგვერდები:
www.google.ge; www.ike.ge; http://lib.ge; http://ka.wikipedia.org/wiki:www.earth.google.com;
4. <https://www.facebook.com/lia.gogokhia/videos/1899978653385288/>;
5. <https://ka.khanacademy.org/science/high-school-biology/hs-human-body-systems/hs-the-circulatory-and-respiratory-systems/v/meet-the-heart>

ინოვაციური მეთოდი

ქარბი მხატვრობა – ეს მუსიკა, ეს მელოდია

IST ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, თვალსაჩინო-პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევებისა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება ხელოვნებისა და მუსიკის ინტეგრირებულ პროექტ-ბაკვეთილზე მესამე კლასში



მზია სალადე
სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ კომპეტენციას, რომელთა შორის ერთ-ერთი სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციაა. იგი გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსწავლე გაცილებით იოლად ინტერესდება საგნით, როცა ინფორმაციის მიწოდების ლექციური ფორმის ნაცვლად, ინტერაქციისთვის გამოყენებულია ინოვაციური მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ არა მარტო სააზროვნო უნარების გააქტიურებას, არამედ ცვლიან სასწავლო სამუშაოსაც, ხდება სასწავლო პარადიგმის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და გამრავალფეროვნება. ამიტომ, სწავლების შინაარსის გარდა, მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეებს უფრო ადვილად და ხალისით აათვისებინებს შინაარსს და უფიქრობს საზოგადოებაში დასამკვიდრებელ კომპეტენციებს.

ხელოვნების გაკვეთილების დაგეგმვისას ჩვენი მიზანია, ბავშვების აღქმითი უნარების შესაბამისად, გაავლინოთ ინტერესი ხელოვნებისადმი, მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილებისადმი, სისტემაში მოვიყვანოთ მათი შესაძლებლობები, შევუქმნათ წარმოდგენა სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც ესოდენ თავისებურ ასახვას პოულობს მუსიკალურ მხატვრულ სახეებში.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს არა მარტო მუსიკის მოსმენა და აღქმა, არამედ მისი დანახვაც. ამ მიზნით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ინოვაციური მეთოდების გამოყენებას ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილებზე. ინოვაციური მეთოდებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება განაპირობებს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარება ითხოვს ინოვაციური მეთოდების ეფექტურ გამოყენებას, მრავალფეროვან დავალებებს, ჯგუფურ სამუშაოებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალური უნარების ძირეულ განვითარებას.

მეთოდი:

იმისათვის, რომ განმეხორციელებინა ინოვაციური მეთოდები პრაქტიკაში, მესამე კლასში დავგეგმე შემაჯამებელი ინტეგრირებული პროექტ-გაკვეთილი ხელოვნებისა და მუსიკაში. მუსიკა და ხელოვნება, კერძოდ მხატვრობა, ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგია, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის ესთეტიკურ განვითარებაში. როგორც უდიდესი იტალიელი მხატვარი, მიქელანჯელო ბუონაროტი ამბობდა: „ქარბი მხატვრობა – ეს მუსიკა, ეს მელოდია“. სწორედ ამ სიტყვებიდან გამომდინარე დავგეგმე გაკვეთილი, რომელზეც შეთავაზებ მოსწავლეებს უკვე შესწავლილი კლასიკური მუსიკის ნიმუშების მხატვრობასთან დაკავშირება.

გაკვეთილის თემა იყო – „ქარბი მხატვრობა – ეს მუსიკა, ეს მელოდია“. მოსწავლეებს ვთხოვე, მუსიკის გაკვეთილებზე მოსმენილი კლასიკური ნაწარმოებებიდან შერჩეული მელოდები დაეკავშირებინათ სხვადასხვა მხატვრების იმ ნახატებთან, რომლებსაც ამ მელოდის მოსმენისას წარმოიდგინდნენ. მოსწავლეებმა შეარჩიეს მელოდია და ხელოვნების მესამე კლასის პროგრამულ მასალაში შესწავლილი მხატვრების ნახატებს მიუსადაგეს. ასევე მოამზადეს ტექსტი და საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციები გამართეს. შემდეგ კი, დახატეს მუსიკის მოსმენით შთაგონებული ნახატი, რომელშიც გადმოცეს მუსიკით გამოწვეული განწყობილება და ემოცია – რას ხედავდნენ მუსიკაში.

ბაკვეთილის მსვლელობა:

1. კლასი დავყავი ჯგუფებად, სულ 4 ჯგუფი. ჯგუფები დავაკომპლექტე სხვადასხვა შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეებისაგან, რათა მაქსიმალური ჩართულობა შეძლებოდა ყველა ბავშვს;
2. ჯგუფებს უნდა შეერჩიათ მელოდია (მელოდიათა ჩამონათვალი ეწერა ფურცლებზე, მოსწავლეები შემთხვევითი შერჩევით წესით ირჩევდნენ დავალებას) და მოემზადებინათ მხატვრების ნახატების სლაიდ შოუ Power Point-ში, ასევე ტექსტი პრეზენტაციისათვის და გაეკეთებინათ ჯგუფის ნამუშევრის პრეზენტაცია;
3. მელოდის შესაბამისობა პრეზენტაციასთან;
4. ეტიუდის რეგლამენტი – 5 წუთი. უნდა ჩაეხედათ „სულის სარკეში“ – სიტყვით, მუსიკით, ნახატით გადმოცემა სათქმელი, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეთა ინტელექტის განვითარებას;
5. უნდა გაეკეთებინათ პრეზენტაცია. პრეზენტაციასთან ერთად ევალებოდათ, დანართის სახით, გადმოცემა ერთგვარი ანგარიში: ვინ რა საქმე შეასრულა, როგორ განიხილეს და გართობის თავი დაკისრებულ მოვალეობას;
6. მოსწავლეებს თავად უნდა შეეფასებინათ ჯგუფის პრეზენტაცია, მონოდედული რუბრიკის მიხედვით.

შეფასების რუბრიკა:

- ს.გ. III.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.
- ს.გ. III.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებისა და წარმოსახვის მეშვეობით.
- ს.გ. III.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.
- ს.გ. III.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და გაუზიაროს თანაკლასელებს აზრი და იდეები.
- ს.გ. III.12. მოსწავლეს შეუძლია ხელოვნების ნაწარმოების შინაარსის სხვა საგნებში განვლილ მასალასთან დაკავშირება.

მუს. III.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ. მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში.

მუს. III.11. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა.

პროცესის აღწერა:

კრიტერიუმები	წარმატებით	კარგად	საშუალოდ	სუსტად
გადმოსცემს განწყობილებას მხატვრული ხერხების მეშვეობით.				
ქმნის სიუჟეტებს თავისუფალ თემაზე საკუთარი ფანტაზიით.				
მუშაობს ინდივიდუალურად და ჯგუფებში.				
წარმოადგენს ნამუშევარს აუდიტორიის წინაშე.				
აკავშირებს მხატვრული ხელოვნების ნაწარმოების შინაარსს, იმავე თემაზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებთან, რომელიც მუსიკის გაკვეთილზე მოისმინა.				
მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში.				
საუბრობს იმაზე, რა განწყობის უქმნის ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები.				
საუბრობს იმაზე, რისი გამოხატვა სურდა ავტორს კონკრეტულ ნაწარმოებში.				

პრეზენტაციების დაწყებამდე, გამოწვევის ფაზაში, მოსწავლეებთან ერთად ვისაუბრეთ, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს მხატვრობა მუსიკასთან. რას ვგრძობთ, როდესაც ვუცქერით ნახატს. გვესმის თუ არა მუსიკის ჰანგები, როდესაც ვუყურებთ მხატვრის მიერ შესრულებულ ნამუშევარს.

ჯგუფების პრეზენტაციები:

პირველი ჯგუფი: პრეზენტაცია Power Point-ში, კომპიუტერისა და პროექტორის გამოყენებით. მუსიკით გაცოცხლებული ნახატები. სენ-სანსის საფორტეპიანო ფანტაზია „ცხოველთა კარნავალი“ გაცოცხლებული ფოროსმანის ცხოველების ნახატები. პრეზენტაციას ერთვოდა ტექსტი.

მე-2 ჯგუფი: პრეზენტაცია Power Point-ში, კომპიუტერისა და პროექტორის გამოყენებით. მუსიკით გაცოცხლებული ნახატები. გრიგის „დილით“ გაცოცხლებული სხვადასხვა მხატვრის პეიზაჟები. პრეზენტაციას ერთვოდა ტექსტი.

მე-3 ჯგუფი: პრეზენტაცია Power Point-ში, კომპიუტერისა და პროექტორის გამოყენებით. მუსიკით გაცოცხლებული ნახატები. შოპენის ვალსი №7-ით გაცოცხლებული ბავშვები რენუარის ნახატებში. პრეზენტაციას ერთვოდა ტექსტი.

მე-4 ჯგუფი: პრეზენტაცია Power Point-ში, კომპიუტერისა და პროექტორის გამოყენებით. მუსიკით გაცოცხლებული ნახატები. ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია“ ნაწილი I Passions-ით გაცოცხლებული სხვადასხვა მხატვრის აბსტრაქტული ნახატები. პრეზენტაციას ერთვოდა ტექსტი.

პრეზენტაციების ბოლოს მოსწავლეებმა შეასრულეს ნახატები, პ. ჩაიკოვსკის „ყვავილების ვალსის“ თანხლებით. ნახატით გადმოსცეს ის, რაც ესმოდათ და ხედავდნენ მუსიკის მოსმენისას. აღწერეს შესრულებული ნახატები – რას ხედავდნენ, როდესაც უსმენდნენ მუსიკას.

შეფასება, შეჯამება: მოსწავლეებმა შეაფასეს ერთმანეთის პრეზენტაციები. მასწავლებელმა შეაფასა და შეაჯამა გაკვეთილი.

შედეგი:

ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეთა ინიციატივასა და დამოუკიდებლობის ხარისხს ზრდის ინოვაციური მეთოდების გამოყენება. სწავლების ასეთი მეთოდების, მიდგომების გამოყენება მოსწავლეებში ავითარებს მონაცემთა შემოქმედებითად, ინოვაციურად წარდგენის უნარს. მოსწავლეებს უფიქრობდათ სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია, რაც გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ. როცა გვეჭრებოდა იმის გარკვევა, თუ რა შედეგი მივიღეთ გაკვეთილზე ამ მეთოდის გამოყენებისას, ვიყენებ მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკას, შემდეგი კრიტერიუმებით:

1. რამდენად ეფექტიანად იყო გამოყენებული ინოვაციური მეთოდები მოსწავლეების მიერ.
2. რამდენად მივაღწიე დასახულ მიზანს.
3. რამდენად ორგანიზებულად გამოიყენე მოცემული მეთოდები გაკვეთილზე.
4. რამდენად საინტერესო და სახალისო ამ მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში.

რუბრიკის მიხედვით მეთოდის შეფასება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებმა სწავლებაში ინოვაცია ეფექტურად გამოიყენეს. ჩვენი მიზანიც ხომ ეს იყო – ბავშვებში, მათი აღქმითი უნარების შესაბამისად, გაველვივებინა ინტერესი ხელოვნებისადმი, მუსიკისადმი, ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილებისადმი. სისტემაში მოგვეყვანა მათი შესაძლებლობები, გამოემუშავებინათ ჯგუფებში მუშაობის ჩვევა, განვითარებინათ საპრეზენტაციო უნარები.

დასკვნა:

ცნობილია, რომ მოსწავლე ყველაზე უკეთ მამინ სწავლობს, როცა აქტიური და ქმედითია, და არა მამინ, როცა აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყურებს. ასეთი ინოვაციური მიდგომით შესაძლებელი იქნება, კლასის ყველა მოსწავლე ჩაერთოს მუშაობაში, შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება და გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობა.

ამრიგად, მიზანი მიღწეულია. დარწმუნებული ვარ, ბავშვებს არ დაავინყდებთ ეს მასალა. ვფიქრობ, ღირს საგანმანათლებლო გამოცდილების ნუსხას ეს ინოვაციური მეთოდი შევმატოთ, რათა გავვიადვილდეს სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილის დაგეგმვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სწავლა და შეფასება“, დამხმარე სახელმძღვანელო;
2. „მუსიკა“, „ხელოვნება“, ე.ს.გ. სტანდარტი;
3. ტრენინგებზე მონოდედული მასალები;
4. ს.ლობჯანიძე, როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტ-გაკვეთილი http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/softko_lobjanize_2.pdf

სპორტი

ჩემპიონ ქათა ღუეტი

მათი სახელები უკვე ჭიდაობის ყველა ქობაგმა იცის, რადგან ისტორია გადაწერეს – ქმეტი ავთანდილ და ნიკა კანტაძეები თავის უფალ ჭიდაობაში, 23-წლამდელთა შორის, 74 და 79 კილოგრამებში, მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, რაც საქართველოსთვის უპრეცედენტო შემთხვევაა. მსოფლიოს ჭიდაობის არ უკვირს წარმატებული ქმეტი, საქართველოსთვის გვირგვინი უპარაჯიშია ერთად, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონ ქათა ღუეტი აქამდე არ გვეყოლია.

ქმეტი რაჭიდან აზრიდან საჭიდაო მწვერვალების დასაპყრობად – პირველი ტოლა ამბროლაურის რაიონში, შემდეგ მეზობელი ჭრებალო, სადაც ჭიდაობის ანბანს ეზიარნენ, აქამდე მოსასვლელად კი მარგალიტაში აქიძეს წარმატებული სხვადასხვა ასაკში. ახლა უფროსთა ჯგირა და აქი უფროსმა – ავთომ, 23-იანებში გამარჯვებამდე ერთი თვით ადრე, ეროვნულ ნაკრებში იჭიდავა მსოფლიოს ჩემპიონის ფინალი. თუმცა 21-22 წლის პიკისთვის ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი და ყველა თანხმდება, რომ ნინო კიდეც არაერთი გამარჯვებაა.

ქმეტი მიღწეული სადღეისოდაც დაუფასდათ: მათი სახელი ეწოდა ჭრებალოს საჭიდაო დარბაზს, სოლო ჩემპიონის მატარებელი დაეუბნა, გოგა ეწოდებოდა თბილისში საცხოვრებელი პირი დასაწყისი. რაჭაში, პოლო წლავში, საბრძოლველად გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება, ქმეტის წარმატება კი ამ პირობებს კიდევ უფრო დიდ ბიძგს მისცემს.

რაკი 23-იანებში ჩემპიონი პირველად ნიკა ბახვა, ინტერვიუს მასთან საუბრით დავიწყეთ.

– ნიკა, როგორ გაიხსენებ 23-წლიანთა მსოფლიოზე თქვენს გამოსვლას?

– ჩემპიონობა ძალიან მინდოდა და ამისთვის ვემზადებოდი კიდევ. თან რაკი ჩემი ძმაც ჭიდაობდა, ორმაგად მონდომებულ ვიყავი, რომ ორივეს მოგვეყო. ვიცოდი, ეს ძალიან მაგარი იქნებოდა ჩვენთვისაც და ხალხისთვისაც. ავთო უფრო ლიდერად და გამარჯვების კანდიდატად მიიჩნეოდა, მე კი ძლიერი კონკურენტები მყავდნენ და საჩემპიონოდ რთული შეხვედრები უნდა გამეყო.

– თუმცა საკმაოდ იოლად მოიგეთ. რომელ ორთაბრძოლას გამოარჩევდით?

– ისეთი მონდომებული და მომზადებული ვიყავი, მართლაც მოვიგე, გამორჩეული შეხვედრა კი ფინალი იყო რუს გავი ნაბიევთან. ის მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და დაძაბულ შეხვედრაში 3:0 მოგუგე.

– მწვრთნელმა როგორი ტაქტიკით დაგავალა მასთან ჭიდაობა?

– წინასწარ ვერც მწვრთნელი დაგავალა და ვერც შენ განსაზღვრავ რამეს, რადგან არ იცი, როგორ დაგისხვება მეტოქე. ცხადია, უნდა შეხვიდე საბრძოლველად და მოიპოვო უპირატეობა, მაგრამ ვერ იტყვი, რომ ან ერთ იდეას გააკეთებ, ან მეორეს, ამას თვითონ ჭიდაობა გაჩვენებს, მისი მიმდინარეობა.

– ავთო, ალბათ, თქვენი მიღწევის გამო ჩემპიონობას ნამდვილად ელოდით, მაგრამ თავიდანვე გაისიგნებდით, რომ ძმებმა ისტორიული წარმატება მოიპოვეთ?

– ჩემპიონობა მართლაც ველოდი და ამ განწყობით ვიყავი ტურნირზე წასული, მაგრამ ჩემი ძმის გაჩემპიონება უფრო დიდი შეგრძნება იყო. ცხადია – ჩემიც, მაგრამ იმ წუთებიდან ჩემი ძმის გამარჯვების სიხარული უფრო მახსოვს, ვიდრე საკუთარი. თუმცა ის ფაქტი, რომ პირველად ჩვენ გავხდით ძმები მსოფლიოს ჩემპიონები, საქართველოში დაბრუნების შემდეგ უფრო ალვიკითა, ხალხის რეაქციებიდან გამომდინარე. ჭიდაობისას კარგად ვერ ანალიზებ, რა გააკეთე, მაგრამ როცა ბრუნდები და ხედავ ამდენი ხალხის რეაქციას, მათ დადებით განწყობას შენ მიმართ, ბედნიერ სახეებს, მაშინ ხვდები, რომ რაღაც კარგი გაქვს გაკეთებული, რამაც ხალხი გაახარა და გააბედნიერა. ეს მართლაც კარგი შეგრძნებაა.

ნიკა: – როგორც მითხარით, კარგად კი ვიყავი ამ შეჯიბრებისთვის მომზადებული, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იტყვი, რომ უეჭველად მოიგებ, რადგან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ავთომ, ნახევარფინალში, ძლიერი რუსი დაამარცხა და მეტოქე ჩამოიშორა ლიდერები, მეორე მხარეს კი ისეთი მეტოქე არავის ჰყავდა, ვინც გამარჯვებაში ხელს შეუშლიდა. ამ შეხვედრის მერე ჩემი ფინალი და როცა გავიმარჯვე, ხოლო ავთო ფინალში იყო, უკვე ვიცოდი, რომ ორივე ჩემპიონი ვხდებოდი. ამხელა გამოსხაურებას არ ველოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ გამორჩეული ამბავი იქნებოდა, რადგან ორი ძმის ერთად გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან იშვიათი ამბავია.

– ყველაზე დასამახსოვრებელი დახვედრა სად მოგიწყევს?

ნიკა: – რაჭაში, ჭრებალოში ჩასვლისას. აეროპორტშიც ბევრი გულშემოტკივარი დაგვხვდა, მაგრამ იქ ველოდებოდი ამას, რაჭაში კი არ მოველოდი, იმდენი ხალხი იყო შეკრებილი. ამას დაემატა ჩვენი დეპუტატის, გოჩა ენუქიძის საჩუქარი. იმ წუთისას შოკში ვიყავი, ამდენი ხალხის სიყვარული... მოკლედ, ეს ემოციები ძალიან დიდ სიხარულთან იყო დაკავშირებული.

– ეს უფრო დიდი სიხარული იყო თუ ბუქარესტში გამარჯვება?

– არა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება სულ სხვა სიხარულია. ასეთი შეგრძნება არ მქონია არასოდეს. როცა კვარცხლებზე ადინარ და შენი ქვეყნის ჰიმნი გესმის, ამას არაფერი შეედრება. თან ჰიმნთან ერთად ხედავ, რომ ამდენ დროს შენ შორის შენი ქვეყნის დროა ყველაზე მაღლა, ამაზე დიდი ემოცია არ არსებობს. ამას რომ ხედავ, მაშინ ხვდები სპორტსმენი, რომ შენი შრომა დაფასდა და ამისთვის ღირდა წვალება.

– ჭიდაობა თავიდანვე გინდოდათ, თუ სხვა გატაცებებიც გქონდათ?

ნიკა: – ჩვენს სკოლაში გაიხსნა ჭიდაობის წრე. სპორტის სხვა სახეობა არც იყო, რომ ყოფილიყო, შეიძლება, სხვაზე შევსულიყავით. მაშინ პატარები ვიყავით და მოგვეჩვენა ლიბზე კოტრაილი, ცოტა ვიჭიდავეთ კიდევ, ცოტა ვითამაშეთ და მოგვეჩვენა. მერე პატარა-პატარა შეჯიბრებებზე წავიდით და მოვიგეთ, თუმცა, ალბათ, იმის პოტენციალიც გვექონდა, დიდი სპორტსმენები გავმხდარიყავით. ასე დავინტერესდით ჭიდაობით. ჭაბუკების ნაკრებში რომ მოვხვდით, მაშინვე გადაწყვეტილი გვექონდა დიდ სპორტში დარჩენა. გვეჯეროდა, წარმა-

ტებას მივალწევდით, თუმცა ვიცოდი, რომ ამისთვის დიდი შრომა იყო საჭირო, ოღონდ როდის მოვიდოდა ეს დიდი წარმატება, ზუსტად ვერავინ იტყოდა. ეს დრო ახლა დადგა, როცა შრომა და მონდომება დაგვიფასდა.

ნიკა: – ჩვენ წინაშე არჩევანი არც დამდგარა. მეც და ჩემს ძმასაც ჭიდაობა, საბრძოლო სახეობები კი მოგვწონდა, მაგრამ რაჭაში სხვა არჩევანი არც იყო. ამიტომ ჩვენს სკოლაში – ჭრებალოში როცა გაიხსნა ჭიდაობის სექცია, იქ შევედით. თან ახალი იყო, გვიზიდავდა, სპორტიც მოგვწონდა და დავინწყეთ ვარჯიში. მაშინ მე მეშვიდე, ნიკა კი მეექვსე კლასში იყო. თანდათან მოვიწამლეთ ამ სპორტით, მერე პატარა შეჯიბრებებზე მედლებიც მოვიპოვეთ და უკვე გადაწყვიტეთ, პროფესიონალურად გავყოლოდი სპორტს. ჩვენი პირველი მწვრთნელი თამაზ მურუსიძე იყო, ვისთანაც ორი წელიწადი ვივარჯიშეთ, მერე კი ქუთაისში გადავედით კობა ახვლედიანთან, რომელიც ჩვენი ახლობელია. იქიდან – თბილისში ავერ, უკვე 6 წელიწადია, გიორგი გოგუელიძესთან ვემზადებით. თამაზად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი სპორტული წინსვლა და განვითარება ამის შემდეგ დაიწყო. გოგუელიძე რომ არ ყოფილიყო ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში, ალბათ, ასეთი წარმატებები არ გვექნებოდა. არც ერთი ტურნირი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი არ გამოუტოვებია, მუდამ ჩვენ გვერდით იყო და ყოველდღიურად, დილიდან საღამომდე ჩვენთანაა. მას მართლაც დიდი ამბავი აქვს ჩვენზე.

– როგორც ტურნირებზე ვხედავ, ის უფრო მეგობარია თქვენი, მაგრამ საგარეოში პროცესში როგორია?

– როცა დარბაზში შევდივართ, მართლაც მწვრთნელისა და მოსწავლის ურთიერთობა გვაქვს. მისი სიტყვა ჩვენთვის კანონია და რასაც გვაგვალბებს, რასაც გვეუბნება, ყველაფერს თავდახრილი ვაკეთებთ. გვეჯერა მისი და არ გვაქვს პროტესტის გრძობა არც ერთ დავალებაზე – ვიცით, რომ რასაც გვაგვალბებს, ეს ჩვენ გვეჭირდება. თან დისციპლინის გარეშე შედეგი არ მოვა, დარბაზის გარეთ კი მართლაც მეგობრები ვართ.

– დიდი სპორტი დიდი შრომაცაა. რამდენად ხართ მზად ამისთვის?

– ეს უკვე ჩვენი ცხოვრების წესია. ბუნებრივია, არის მომენტები, როცა ვიღლებით და იქნებ ვარჯიშის ხალხიც არა გვაქვს, მაგრამ მწვრთნელიც ხედავს ამ ყველაფერს და იცის, როდის უნდა მოუკლოს, როდის დაგვასვენოს. შეჯიბრებების მერე გვაქვს რამდენიმე დღე იმისთვის, რომ მოვწყდეთ სპორტს, ჭიდაობას, რათა დავისვენოთ, გავისეირნოთ, ვაკეთოთ ის, რაც ჩვენი ჰობია და გვსიამოვნებს. რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ენერჯით ვინწყებთ ვარჯიშს. მწვრთნელი აბალანსებს ამ ყველაფერს და არ გვექონია ის მომენტი, რომ ჭიდაობა მოგვებზრებია, სულ მოტივირებული ვართ საგარეოში.

– ჰობი ახსენეთ და თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

– თავისუფალ დროს ძირითადად მეგობრებთან ვატარებ, ისე კი ძალიან მიყვარს მოგზაურობა, თუნდაც საქართველოში, ბუნებაში გასეირნება, რამდენიმე დღით კარვით წასვლა, სადაც სულიერად ისვენებ, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებ. უცხოეთში, შეჯიბრებების მერე, ვცდილობ, დავათვალიერო იქაურობა. თავისუფალი დრო რომ მქონდეს, აუცილებლად ვიმოგზაურებდი.

– ბავშვობას როგორ იხსენებთ?

ნიკა: – უკვე 10 წელიწადია, ამბროლაურში, ჭრებალოშიც გვაქვს სახლი და ოჯახის წევრები ახლაც იქ ცხოვრობენ, მაგრამ მე იქ, პრაქტიკულად, არც მიცხოვრია – როცა რაჭაში ჩავდივარ, მშობლიურ სოფელში, პირველ ტოლაში ვრჩები, სადაც დავიბადე და გავიზარდე.

ბავშვობა და რაჭაში გატარებული წლები ძალიან კარგად მახსენდება. ცუდი მოგონებები ნამდვილად არ მაქვს და თავიდან რომ ვინწყებდე ცხოვრებას, არაფერს შევცვლიდი, ყველაფერს ისევე დავტოვებდი. რაც იყო, ყველაფერი საჭიროა და სასარგებლო.

სამწუხაროდ, ჩვენი რეჟიმიდან გამომდინარე, რაჭაში იშვიათად ჩავდივართ – მაქსიმუმ, 3-4 დღე. სულ შეკრებებზე და ვარჯიშებზე ვართ, თუმცა მონატრება და სურვილი მუდამ დიდია, რომ ხშირად ჩავიდეთ და მშობლებთანაც ახლოს ვიყოთ. გვესმის, რომ ამჯერად საქმეს ასე სჭირდება, მაგრამ ალბათ, მოვა დრო, როცა მთელი ოჯახი ერთად ვიცხოვრებთ. ოღონდ რაჭაში თუ თბილისში, ეს ჯერ არ ვიცი, მაგრამ რაჭას რომ არ დავკარგავ, ეს ვიცი. არა აქვს მნიშვნელობა, თბილისში ვიცხოვრებ, უცხოეთში თუ სად, მაგრამ რაჭასთან ყოველთვის მიქნება ურთიერთობა. მასზე უკეთესი ადგილი არსად მეგულება.

ნიკა: – ბავშვობიდან, რაჭაში გატარებული წლებიდან ყველაფერი ტკბილად მახსენდება და არც მე არ შევცვლიდი არაფერს. რაც მინახავს და როგორც მიცხოვრია, ის ცხოვრება მომწონს.



– სპორტის და სწავლის შეთავსებას როგორ ახერხებდით, ხელს ხომ არ გიშლიდათ სპორტი სწავლაში?

ნიკა: – რომ გითხრათ, ხელს არ გიშლიდა-მეთქი, მოგატყუებთ. როცა პროფესიულად ხარ სპორტში ჩართული, უმაღლეს დონეზე სწავლა რთულია, თუმცა განათლების მიღება შესაძლებელია და თუ მოინდომებ, განათლების გარეშე არ დარჩები.

– მშობლები ძალიან გქომაგობენ, მაგრამ თქვენს შეჯიბრებებზე დასწრება უჭირთ. განსაკუთრებით თურმე – მამას.

ნიკა: – კი, მართლაც უჭირთ დასწრება. იქნებ არ იყოს იმდენი საშუალება, რომ უცხოეთში ყველა შეჯიბრებაზე წამოვიდნენ, მაგრამ საქართველოშიც კი ჩვენც არ გვინდა მამის დასწრება, იმდენად ემოციურია და იმდენად განიცდის. როცა საჭიდაოდ შევდივართ, არ გვინდა იმაზე ფიქრი, ნერვიულობისგან რამე არ დაემართოსო. იმდენად ემოციური ადამიანია, თუნდაც ერთი წლის წინანდელი ჩანანერის ყურებასაც კი განიცდის. ამიტომ შეთანხმებული ვართ, რომ ჩვენს შეჯიბრებებს არ უნდა დაესწროს.

ნიკა: – მშობლები ძალიან ნერვიულობენ და ამიტომ არ ვასწრებთ ჩვენს შეჯიბრებებს, თორემ მათი დამსახურებაა აქამდე რომ მოვედით. ჩვენთან ერთად ისინიც ძალიან მონდომებულნი იყვნენ, რომ სპორტს ბოლომდე გავყოლოდი და ყველაწინაირად ხელს გვიწყობდნენ. ოჯახიდან საგარეოშიც წამოსვლა თავიდან გავიწყობდა, მით უფრო – პატარები ვიყავით, მაგრამ მაინც შევძელით, რადგან ეს გასაკეთებელი იყო.

– არადა, გარკვეული პერიოდი ძმები ერთ წონაშიც ჭიდაობდით და წარმომიდგენია, თქვენი უშუალო შეხვედრისას მშობლები რა დღეში იქნებოდნენ.

ნიკა: – კი, მართლაც ძალიან ნერვიულობდა. დედა უფრო ხშირად დაგვეხებოდა საქართველოში შეჯიბრებებზე, მაგრამ იმდენად განიცდიან და ნერვიულობენ, ეს ჩვენზეც მოქმედებს. ამიტომ, ჩვენი თხოვნით, არ ესწრებიან ტურნირებს და ტელევიზორით გვახედებენ თვალს.

– ავთო, უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდად არ გამოსულხართ – 22 წლის დებიუტანტმა ფინალი იჭიდავთ და ფრენა წაგეთ, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რუს ზაურზეც სიდაკოვთან შეხვედრების მეტი პრაქტიკა, ცოტა მეტი სითამამე რომ გქონდათ, დაამარცხებდით... ფინალამდე მან უძნელესი ხადე გაიარა, პირდაპირ გადათელა მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები, თქვენთან კი ფრედ დაასრულა პაექრობა.

– სიდაკოვი ჩემთვის უცხო მეტოქე არაა. ველოდი მასთან მოგებას და ამ განწყობითაც გავედი, მაგრამ იყო პატარა ტაქტიკური შეცდომა, იყო ნერვიულობა იმაზე, რომ პირველად ვჭიდაობდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს და ზედმეტად მოვიწამლეთ მოსაგებად – ამ პასუხისმგებლობამ და ამ განცდამ შემბოჭა, რის გამოც ჩემი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინე. 23-წლიანებშიც ამიტომ გამოვარჩევი ნახევარფინალურ შეხვედრას რუს ტიმურ ბიუოევთან – მასთან შეხვედრისას სიდაკოვთან მარცხი მახსენდებოდა და ვცდილობდი, იქ დამეხვედოდა შეცდომები არ გამემეორებინა. უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი პასუხისმგებლობაა ქვეყნის, მწვრთნელების, საკუთარი თავის წინაშე და ამ ემოციებმა შემბოჭა კიდევ. უფროსებში პირველად ვჭიდაობდი მსოფლიოს ფინალს, თუმცა დავინახე ჩემი შესაძლებლობები, მიხვდი, რომ ყველასთან შემიძლია მოგება. ამიტომ მომდევნო მსოფლიოს პირველობაზე სულ სხვა განწყობით გავალ. რწმენის თვალსაზრისით, გავიზარდე ამ ფინალის შემდეგ. როცა იმით უგებ, ვისაც აქამდე ეკრანისგან ხედავდი, ვინც უკვე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია, რწმენა გემატება. მწვრთნელთან ერთად კონკრეტულ მეტოქეებზე ინდივიდუალურად ვმუშაობთ, ვარჯიშებზე გავდივართ მათ ძლიერსა თუ სუსტ მხარეებზე. ამგვარად ვემზადებით მომავალი სეზონისათვის და ლიცენზიის ასაღებად.

